

მართული ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ - ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის



100 წელი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან

გაცოცხლებული ისტორია - გენერალ გიორგი კვინიტაძის აღდგენილი სამოსის გამოფენა



გვ.3 >>>

საქართველოს სამხედრო ისტორია - history.mod.gov.ge

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს სამხედრო ისტორია

facebook youtube twitter

არტილერია, ჯავშანტექნიკა, ავიაცია, ფლოტი

საქართველოს პირველი რესპუბლიკის #საკუჩრისაგა

გენერალი ბიორგი ბაგრატიონის მემორიალი

ვალიკო ჯაღლი

ქაქუცა ხორავა

გვ.4 >>>

პროექტი ჩვენი ჯარი



გვ.6 >>>

26 მაისი ეს დღე ჩვენია



გვ.2 >>>

მეჩვენებ მელონიტონის



გვ.5 >>>



100 წლის ისტორია თავისუფლების მოედანზე გასოსხლდა



26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე ვიხეიეთ.

გაცოცხლებული ისტორია, გმირები, ახალი პროექტები, გამოფენები, „დელტას“ მიერ წარმოებული ტექნიკა - თავდაცვის სამინისტრომ დამოუკიდებლობის დღე მთელი საქართველოს მასშტაბით მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღნიშნა. დღის მთავარი ღონისძიება - ფიცის დადების ცერემონიალი - თავისუფლების მოედანზე გაიმართა.

26 მაისის ღონისძიებებზე, თავდაცვის სისტემაში განხორციელებულ რეფორმებზე, შეიარაღებულ ძალებსა და მათი მომზადების დონეზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი, პოლკოვნიკი მალხაზ მაკარაძე საუბრობს, „26 მაისი ჩვენი ეროვნული დღესასწაულია, მაგრამ ეს დღე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამხედროებისთვის, როგორც ქვეყნის დამცველებისთვის. ეს ემთხვევა დატვირთული საზეიმო დღეა, რომელსაც წლიდან წლამდე დიდი სიამაყით ველოდებით“.

აღსანიშნავია, რომ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კოლოფი პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელ სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის ადადგინეს. „ძველი ფორმების აღდგენის მთავარი მიზანია საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი წარსული, რითაც ასე ვამაყობთ. ეს უნიკალური შესაძლებლობა იყო ქუთაისის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტებისთვის, ისინი ადიჭურვეს იმ სამხედრო ფორმებითა და ცეცხლსასროლი შაშხანებით, რომლებსაც 1918-1921 წლებში სამხედრო მოსამსახურეები ატარებდნენ“. - აღნიშნავს სარდალი.

ცერემონიალი პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სამხედრო მარშებით გაიხსნა, რომელიც სამხედრო ორკესტრმა შემონახული ნოტებიდან სპეციალურად საიუბილეო ღონისძიებისთვის ადადგინა. ვალერიან მიზანდარის შთამომავალმა, ლევან მიზანდარმა ნოტების ასლები სამინისტროს გადასცა. „მარში გამარჯვებისთვის“ და „მერანი“,

26 მაისს, თავისუფლების მოედანზე შეიარაღებული ძალების საჩვენებელი ორკესტრის მიერ აუღერდა.

ცერემონიალი მუსიკალურად გააფორმა ლიტვის შეიარაღებული ძალების სასულე ორკესტრმა, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩამოვიდა.

ღონისძიების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვა, რომელიც ეროვნული გვარდიის სარიტუალო ასეულის სამხედრო მოსამსახურეებმა შემოიტანეს. დროშის აღმართვასთან ერთად გაისმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, რის შემდეგაც



წუთიერი ღუმლით პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, ასევე საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

ორკესტრების შემოსვლის შემდეგ საწყისი პოზიციები ცერემონიაში მონაწილე საჯარისო ნაწილებმა დაიკავეს. მათ შორის იყო წვრთნისა და შეფასების ცენტრის JTEC (CTC) ინსტრუქტორთა კოლოფი; DRILL სერჟანტთა კოლოფი, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კოლოფი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის კოლოფი, 43-ე ბატალიონი, რომელიც საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაშია (GDRP) ჩართული, ასევე აშშ-ის ინსტრუქტორთა კოლოფი და რეკრუტების 6 კოლოფი. კოლოფების შემოსვლის პარალელურად, წამყვან-

მა საზოგადოებას წარმოდგენილი სამხედრო ქვედანაყოფების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა.

როგორც მალხაზ მაკარაძე აღნიშნავს, 1 მაისს ყველაზე ამბიციური, სამწლიანი პროექტი - საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) დაიწყო. ამერიკელები ქართველ ინსტრუქტორებთან ერთად საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს გაწვრთნიან.

კოლოფების განლაგების შემდეგ მონიტორებზე იმ ადგილებიდან გამონჩნდა გამოსახულება, სადაც თბილისის პარალელურად რეკრუტებმა და წვევამდელებმა ფიცი დადეს -

რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი „დიდება“ შესრულდა. ღონისძიება მრავალჯამიერისა და ჯუთას შესრულებით დასრულდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით თავისუფლების მოედანზე სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენაც მოეწყო. გამოფენის მნიშვნელოვანი სიახლე იყო ახლადშექმნილი ტანკსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინი“. მოედანზე, ასევე, წარმოდგენილი იყო: ეჯღერი, GM 403, MaxPro, რაფაელი, დანა, ლარ-160, ჩინგორი, დიდგორი, ლაზიკა, მედევაკი, ჰამერი, RM-70; GMM-120 თვითმავალი ნაღმტყორცნი.

ასევე, სამხედრო ტექნიკა გამოიფინა თელავში, რუსთაველაში, მარნეულში, მცხეთაში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ოზურგეთში, ფოთში, ბათუმში, ზუგდიდში, სენაკში, ამბროლაურსა და საჩხერეში.

26 მაისს, რუსთაველის გამზირზე, გაცოცხლებული ისტორიის ნახვის შესაძლებლობაც იყო. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში გენერალ გიორგი კვინიტაძის აღდგენილი სამოსის, ხელნაწერების გამოფენა მოეწყო.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით რუსთაველის გამზირზე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ოფიციალური საიტის საპრეზენტაციო სტენდი განთავსდა. სპეციალურად მოწყობილ ინსტალაციაში მოქალაქეებმა ფეისბუქ აპლიკაციის ტესტების საშუალებით, სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებში, საკუთარი ცოდნა შეამოწმეს.

გვირაბის ფორმის კონსტრუქცია პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწეებისა და შეიარაღებული ძალების არქივისა და იარაღ-საჭურველის ფოტოებით იყო გაფორმებული. საქართველოს სამხედრო ისტორიის ახალშექმნილ გვერდზე (<https://history.mod.gov.ge>) ოთხი ძირითადი განყოფილებაა წარმოდგენილი: პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები; იარაღი და საჭურველი; საქართველოს ეროვნული გმირები და წიგნი „გმირი“.

გაცოცხლებული ისტორია - გენერალ გიორგი კვინიტაძის აღდგენილი სამოსის გაყოფენა



26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში ქართველ საზოგადოებას გენერალ გიორგი კვინიტაძის აღდგენილი სამოსი, ასევე სამხედრო მოღვაწის ხელნაწერები და ხმოვანი ჩანაწერები პირველად წარუდგინა. გამოფენა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა.

გენერლის შესამოსელის აღდგენის პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით განხორციელდა.

გენერალ გიორგი კვინიტაძის არქივის საქართველოსთვის გადმოცემა

„ღმერთო, მიეცი ჩემს ქვეყანას ბედი და ბედნიერება, ღმერთო, მიეცი შენს ქართველებს სწავლა და მეცნიერება, ღმერთო, ჩაუდე მათ გულში ძმობა და სიყვარულია, რომ გაუწიონ ერთმანეთს ერთგული სამსახურია. თუ თქვენ გიყვართ თქვენი სამშობლო, თქვენ იბოვით თქვენ საქციელს“, - „რადიო თავისუფლების“ ქართული სამსახურისათვის მიცემულ ინტერვიუში გენერალი გიორგი კვინიტაძე ნოსტალგიური ინტონაციით საქართველოში ბავშვობისას მოსმენილ ლოცვას კითხულობს. ინტერვიუ გენერლის ემიგრაციის პერიოდს ეკუთვნის - ჩაწერილია 1968 წლის მაისში, პარიზში, რადიოს ქართული სამსახურის მაშინდელი დირექტორი კარლო ინასარიძე ესაუბრება 95 წლის მცხოვრებ გენერალს, რომლის წვლილი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საქმეში განუზომელია. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გენერალი კვინიტაძე იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და ის სიცოცხლის ბოლომდე საფრანგეთში ცხოვრობდა.

2007 წელს საფრანგეთში მცხოვრებმა კვინიტაძის ქალიშვილმა, ნანომ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გენერლის პირადი არქივი გადასცა. უნიკალური ავტოგრაფების, მიმოწერისა და საინტერესო ჩანაწერების პარალელურად, კოლექციის ნაწილია გენერლის სამხედრო შესამოსელი: გენერლის მუნდირი, სამხედრო პერანგი, სამხედრო ფარაჯა, ჩოხა და ახალუხი, ქალის ტრადიციული შესამოსელი, გენერლის მუნდირის გულისჯიბეში აღმოჩენილი წმინდა გიორგის ხატი.

გენერლის სამოსი აღდგენის პროცესი

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გენერლის შესამოსელის აღდგენის უპრეცედენტო პროექტის განხორციელებაზე ზრუნვა არქივის საქართველოსთვის გადმოცემისთანავე დაიწყო.

2014 წელს გენერალ კვინიტაძის შესამოსელის კოლექციის აღდგენის

პროცესში ახალგაზრდა კალიგრაფები ჩაერთვნენ. მათ უნიკალური ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვით შეძლეს გარკვეული თანხის მობილიზება, რაც კოლექციის მცირე ნაწილის აღდგენას მოხმარდა. კალიგრაფების ღონისძიების შემდეგ, გენერალ კვინიტაძის სრული კოლექციის რესტავრაციის საკითხში თავდაცვის სამინისტრო ჩაერთო და პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა სრულად, საკუთარ თავზე აიღო.

გენერალ კვინიტაძის სამოსის კოლექცია უძძიმეს მდგომარეობაში იყო. სარესტავრაციო სამუშაოები ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის ჯგუფის წევრებმა - ნინო სოხაშვილმა, მეგი ხუბულურმა, მანანა პაპიძემ და ნანა ჯავახიანიშვილმა 6 თვის განმავლობაში ჩაატარეს.

რესტავრაციის პროცესის დაწყებამდე, ჯგუფის წევრებმა გენერლის სამხედრო შესამოსელი ფოტოარქივზე დაყრდნობით შეისწავლეს, დაზიანებების სირთულეები დაადგინეს, ასევე სარესტავრაციო პროცესის მეთოდები და სტრატეგია შეიმუშავეს. კონსერვატორი ნინო სოხაშვილი გვეუბნება, რომ მისი ოცდაათწლიანი სამუშაო პრაქტიკის განმავლობაში კვინიტაძის შესამოსელის კოლექცია, განსაკუთრებით გენერლის მუნდირი, დაზიანებული იყო. „მუნდირის თითოეულ დეტალს საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა, დაკარგული ფრაგმენტები კი, იდენტური ქსოვილით შეიცვალა“, - აღნიშნავს რესტავრატორი. მისი განცხადებით, მიუხედავად სარესტავრაციო პროცესში წარმოქმნილი სიძნელეებისა, ჯგუფის თითოეულმა წევრმა იცოდა, რომ საქმე უნიკალურ შემთხვევასთან ჰქონდა, მათ ხელთ იყო ისტორიული სურათის - თუ როგორ იმოსებოდნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ქართველი სამხედრო მადალჩინოსნები - აღდგენის შესაძლებლობა. „ზოგადად, რესტავრაციის პრაქტიკაში სამხედრო მოღვაწის შესამოსელის აღდგენის პრეცედენტი არ გვქონია. მნიშვნელოვანია, რომ ფოტომასალის გარდა, ექსპონატებიც იყოს“, - ამბობს რესპონდენტი.

გენერლის რანგის სამხედრო მოხელის სამოსის უნიკალური კოლექციის პარალელურად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გენერლისა და მისი ქალიშვილის - ნანოს ტრადიციულ შესამოსელსაც. სწორედ, ქართულ ჩოხა-ახალუხსა და ეროვნულ კაბაში გამოწეობილები ესწრებოდნენ მამა-შვილი საზღვარგარეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებს. ასეთ შეკრებებს დიპლომატიური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ქართველები ღონისძიებაზე მოწვეულ საზოგადოებას საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ.

გაცოცხლებული ისტორია

გენერალ გიორგი კვინიტაძის აღდგენილი შესამოსელის ექსპოზიცია



საუკუნის ისტორიასაც ასახავს - ასე აფასებს პროექტს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი შალვა ჯაბახიძე. გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის განცხადებით, მომავალი თაობები ამ ექსპოზიციის საშუალებითაც გაეცნობიან სამშობლოს ისტორიას - „გამოფენაზე ჩვენ მივიყვანთ მომავალ თაობას, ჩვენ ავუხსნივთ რა მდგომარეობა იყო სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში - როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, თუ რა გააკეთეს მათ ჩვენთვის“.

„ყველა ახალგაზრდას პირზე უნდა ეკეროს კვინიტაძისა და მაზნიაშვილის სახელი და გვარი, ისინი იყვნენ ნამდვილი მებრძოლები, სარდლებად დაბადებულნი, მათი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის წინაშე უზარმაზარია“, - ამბობს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე.



გენერალი გიორგი კვინიტაძე

„ფიცხი, მამაცი, ჭკვიანი. მისი ტაქტიკა - აღტკინება, შეტევა... ჩინებული მცოდნე ჯარისკაცთა ფსიქოლოგიისა, დიდი ინიციატივის პატრონი. მან ერთადერთმა შეინარჩუნა წესიერება თავის ნაწილებში ფრონტზედ ჯარების დაშლის დროს. ბრძოლაში სრული უშიშრობა; იცის მასების გამხსნევა და მათი გატაცება. ნერვიული, განუწყვეტილ ეწევა პაპიროსს. საუკეთესო ოფიცერი ქართული ჯარისა“.

ფოტოარქივებში შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის რამდენიმე ფოტო მოიპოვნება. სამხედრო მუნიტორში გამოწყობილი გენერალი თითქმის ყველა ფოტოზე ჯარისკაცების გარემოცვაშია. „გენერალი კვინიტაძე უადრესად განათლებული პიროვნება იყო, ის პრაქტიკოსიც გახლდათ. მისთვის დამახასიათებელმა თვისებებმა გამოიწვია ის დიდი სიყვარული, რაც მან ქართული ჯარისგან დაიმსახურა“ - გვეუბნება ბრიგადის გენერალი შალვა ჯაბახიძე.

1918-1921 წლებში, სხვადასხვა დროს, გენერალი კვინიტაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობდა. კვინიტაძე მთავარსარდლის პოზიციიდან რამდენჯერმე გადაამდგარა, თუმცა კრიტიკულ სიტუაციაში ქვეყნის სადარაჯოს უყოყმანოდ დაბრუნებია. „მე სამსახურზე უარი არასდროს მითქვამს, რადგან რთულიც არ უნდა ყოფილიყო მდგომარეობა, დავხმარებოდი სათაყვანებელ სამშობლო საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს, იყო და არის ჩემი უწმინდესი მოვალეობა“ - აღნიშნავს გენერალი მოგვიანებით.

სირთულეების მიუხედავად, მთავარსარდალმა კვინიტაძემ ქართული არმიისა და იუნკერთა სკოლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. „გენერლის მიერ აღზრდილმა იუნკერებმა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას თავი შესწირეს. 19, 20, 21 თებერვალს კოჯორსა და ტაბახმელასთან იყო რუსული მე-11 არმიის წინააღმდეგ ქართული შენაერთების წარმატებული ბრძოლები. შემდეგ ბოლშევიკებმა ახალი საჯარისო ნაწილები გადმოისროლეს

და კვინიტაძემ საჭიროდ მიიჩნია უკან დაეხია, რადგან თბილისი ალყაში მოქცევის საშიშროების წინაშე იდგა“ - აღწერს საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდს ზაზა აბაშიძე.

„არმია თავისი ხალხის თვისებების ანარეკლია, რადგან პირშია ამ ხალხისა, მისი სისხლი და ხორცი. არმია სარკესავით აირეკლავს თავისი ხალხის ყველა კეთილ და მანკიერ თვისებას, მისი ძლიერებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარისხი შეესაბამება ხალხის შინაგანი ძლიერების და განვითარების ხარისხს“ - ეს სიტყვები გენერალ კვინიტაძეს ეკუთვნის - ადამიანს, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამწლიან პერიოდში შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. დღეს, თავდაცვის უწყებაში გენერალ კვინიტაძის სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული. თავდაცვის სამინისტროს კადეტთა სამხედრო ლიცეუმში გიორგი კვინიტაძის სახელს ატარებს. თითოეული სამხედროსთვის მნიშვნელოვანია უწყებრივი მედალი, რომელიც გენერალ კვინიტაძის სახელისაა.

*** დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების დასრულების შემდეგ, გენერალ კვინიტაძის აღდგენილი შესამოსელის გამოფენა ერთი წლით თავდაცვის სამინისტროში დაიდებს ბინას, მოგვიანებით კი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გიორგი კვინიტაძის სახელობის კაბინეტში გადაინაცვლებს და ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნისას მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის შემდეგაც გენერალი კვინიტაძე საკუთარ სათქმელს ამბობს... მისი პირადი არქივის გამოფენაზე ბევრ რამეზე დაფიქრება ადამიანი: პირველ რიგში, საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე და ამ საქმეში საქართველოს შეიარაღებული ძალების, თითოეული სამხედროს წვლილზე, თავგანწირვაზე...

ამ სტატიასაც გენერალ კვინიტაძის სიტყვებით ვასრულებთ - „შეიარაღებული ძალები სახელმწიფოს ბურჯია; საკუთარი სახელმწიფოს დამცველი ჯებირი, რომლის მიღმა ხალხი მშვიდობიანად ვითარდება“.

საქართველოს სამხედრო ისტორია - history.mod.gov.ge



ისტორიული ფაქტები, ეროვნული გმირები, სამხედრო პირები და მათი ბრძანებები, კანონები, შეიარაღება და ისტორიული ფოტოები - ცნობები საქართველოს სამხედრო ისტორიის შესახებ ერთ ვებ გვერდზე გაერთიანდა. history.mod.gov.ge საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა. მისი მიზანია ინტერნეტ სივრცეში საქართველოს სამხედრო ისტორიის წარმოჩენა, შეიარაღებული ძალების პოპულარიზაცია და სამხედრო-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს სამხედრო ისტორიის გვერდის პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განყოფილებაში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ცნობები სამხედრო სამინისტროსა და გენერალური შტაბის, სახალხო გვარდიის, სამხედრო სამსახურის, ჯარისა და სახალხო გვარდიის პირადი შემადგენლობისა და სტრუქტურის, შეიარაღების, სამხედრო წოდებების,

უნიფორმების, გასარჩევი ნიშნების, სამხედრო ბიუჯეტის, განათლებისა და პერიოდიკის შესახებ. განყოფილება ასევე მოიცავს სამხედრო მინისტრების, გენერალური შტაბის უფროსების, მთავარსარდლებისა და გამომჩენილი სამხედრო პირების ბიოგრაფიებს.

საქართველოს სამხედრო ისტორიის გვერდის იარაღ-საჭურველის განყოფილებაში წარმოდგენილია, როგორც ქართული ფოლადის წრთობის და იარაღ-საჭურველის შექმნა-განვითარების ისტორია, ისე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული არაერთი მნიშვნელოვანი ექსპონატის დეტალური აღწერა. კერძოდ, გვერდზე განხილულია ხმლები: „გორდა“; „კაღდიმი“; „კაბიანი ხმალი“; „დავით-ფერული“; „ლეკური“; „თბილისური ხმალი“; ცნობილი ქართველი მეთარაღების, მათ შორის ელიზარაშვილების მიერ შექმნილი ხანჯლები, ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისთვის დამახასიათებელი ხანჯლის ტიპები.

გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართული შუბის, მშვილდის, სატყორცნი და დასარტყამი იარაღების, საბრძოლო თავსაბურავის, ფარის, ჯაჭვის პერანგისა და კიდურსაცავი საშუალებების შესახებ. განხილულია ქართული არტილერიის ჩამოყალიბების ისტორია. წარმოდგენილია



ერეკლე II-ის ორი თოფი, მეფე ბაქარის, მეფე არჩილის, გიორგი XII-ის, სოლომონ I-ის და სოლომონ II-ის თოფები, წარწერების აღწერილობით. საქართველოს სამხედრო ისტორიის გვერდის ეროვნული გმირების განყოფილებაში მოცემულია ზურაბ იარაღულის, ზაზა დამენიას, გიორგი ანწუხელიძის, თეოდორე შარტავას, გურამ გაბესკირიას, მამია ალასანიას, მარო მაყაშვილის, გიორგი მაზნიაშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიები. გვერდის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში და სავითარების მისიებში დაღუპული პირების შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს, რომელიც შედგენილია გაზეთ „პრაიმტიმის“ წიგნის „გმირი“ მიხედვით.

სამომავლოდ, გვერდზე იგეგმება საქართველოს მონაწილეობით წარმოებული ომებისა და საბრძოლო მოქმედებების ანალიზის, საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიის, დეველოპმენტული ქართველი სამხედრო პირების ბიოგრაფიებისა და „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსიის განთავსება.

თავდაცვის სამინისტროს „ფეისბუქის“ გვერდზე, საგანგებოდ შექმნილ ტესტების აპლიკაციის საშუალებით, „ფეისბუქ“ მომხმარე-

ბელს შეუძლია საკუთარი ცოდნა გამოსცადოს სამხედრო ისტორიაში, სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებსა თუ საერთაშორისო ურთიერთობებში. ტესტების მოცემული ვერსია მოიცავს 40 კითხვას და 4 კატეგორიას: ისტორია - 15 კითხვა, საერთაშორისო ურთიერთობები - 10 კითხვა, თანამედროვე გამოწვევები - 5 კითხვა, შეიარაღებული ძალები - 10 კითხვა.

ტესტების ყველა კატეგორიაში მოცემულ კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ, აპლიკაციის საწყის გვერდზე მომხმარებელს შეუძლია იხილოს ტესტების სრული შედეგის ბმული, რომელიც პირველი ცდით შესრულებული ტესტების შედეგს ასახავს. შესაძლებელია როგორც ტესტების სრული შედეგის, ისე, ტესტების კატეგორიების მიხედვით მიღწეული შედეგების ცალკეულად გაზიარება. საქართველოს სამხედრო ისტორიის პროექტს და „ფეისბუქის“ ტესტების აპლიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში სამხედრო ისტორიის, და ზოგადად, სამხედრო-პოლიტიკური თემატიკის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი ინტერნეტ რესურსები სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის და სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა. შეიცვალა თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდის პტპს://მოდ.გოვ.გე დიზაინი, რომელიც უფრო მოქნილი გახდა. ჩამოყალიბდა ახალი განყოფილებები სამინისტროსა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ერთეულების, სოციალური მხარდაჭერის, სამხედრო განათლებისა და კარიერის, საერთაშორისო მისიების, პროფესიული განვითარების პროგრამების, უწყებრივი ჯილდოებისა და სხვა აქტუალური მიმართულებების შესახებ.

გენერლები გვიღობისთვის



„მშვიდობა – ცივილიზაციის სიკეთეა, ომი კი – მისი დანაშაული“, - ეს ციტატა ცნობილ ფრანგ მწერალს ვიქტორ ჰიუგოს ეკუთვნის. მშვიდობა ის მოცემულობაა, რომელმაც არ დატოვა ეპოქა და შემოქმედი, რომ მასზე არ შექმნილიყო რაიმე ღირებული ნაწარმოები თუ ხელოვნების ნიმუში. სიმბოლურია, რომ სწორედ „მწერლები მშვიდობისთვის“ დაერქვა თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტს, რომელიც 12 ქართველ მწერალს აერთიანებს. ეს მწერლები 12 ღირებულების: მშვიდობის, თავისუფლების, გამარჯვების, ერთობის, მეგობრობის, ერთგულების, სიმტკიცის, თავდადების, თავგანწირვის, სიმამაცის, სიცოცხლისა და სიყვარულის გარშემო გაერთიანდნენ, უახლოეს მომავალში ისინი შექმნიან ნაწარმოებებს, რომლებიც ერთ წიგნად გამოიცემა.

11 მაისი, საგურამო, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. დღის სამი საათი, ყველანი გასაოცარ სიმწვანეში ვიკრიბებით. რამდენიმე წუთში, პროექტ „მწერლები მშვიდობისთვის“ პრეზენტაცია უნდა დაიწყო. დონისძიებას თავდაცვის მინისტრი, მისი მოადგილე, სამხედროები და ჟურნალისტები ესწრებიან. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს სინობტიკოსების სარწმუნო ინფორმაციით უნდა ეწვივა, ისეთი მზე ამოვიდა, იშვიათად რომ იცის მაისის შუაგულში. ერთი სიტყვით, ყველაფერი ხელს გვიწყოფს, რომ

დაგვემღმა დღემ უნაკლოდ ჩაიბროს. აქვეა შეიარაღებული ძალების სამხედრო საჩვენებელი ორკესტრის ბენდიც, რომელიც გემოვნებიანი



მუსიკით გვანებიერებს. თავდაპირველი სიტყვა მინისტრ ლევან იხორიას ეკუთვნის. მინისტრი პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს: „ეს პროექტი ითვალისწინებს იმ ღირებულებების

გამოსატვას, რა ღირებულებებსაც ჩვენი შეიარაღებული ძალები ეფუძნება. ასევე, ითვალისწინებს იმ მაღლიერების, ემოციის, სიყვარულის გამოსატვას, რაც საზოგადოების თითოეულ წევრს, ჩვენი ჯარისკაცების მიმართ გააჩნია და საუკეთესო ნიჭი ამ ემოციების გამოსატვისთვის სწორედ ჩვენს მწერლებს აქვთ“.

„ჩაისუნთქე ეს ტყე, შეისრუტე ბოლომდე, თავისი თაფლიანი სუნით, ქინკლებით, კოლოებით, ფოთლებიანი ცით, რომ, როცა დაბრუნდები ქალაქში, სარჩული ამოიბრუნო და სიგრილის შთაბეჭდილება შეუქმნა ტელევიზორთან გატრუნულ დასიცხულ ადამიანებს“. ახლა კი დროა, დრმად ჩავისუნთქოთ და ამ სიტყვების ავტორს,

ლი ადამიანია, გმირია, მას შეუძლია იგრძნოს პოეზია. დიას, ჯარისკაცი არის ის კედელი, რომელსაც ეყრდნობა მთელი სამშობლო და მის უკან კიდევ პატარა სამშობლო - მისი კარ-მიდამო, ოჯახი. ჯარისკაცს არ აქვს არჩევანის უფლება. მას სხვაგვარად არ შეუძლია. შენი სამშობლო უნდა დაიცვა, შენი კულტურა უნდა დაიცვა. ჩვენ უნდა გვეკონდეს სწორი პოლიტიკური ორიენტაცია და უნდა გვასსოვდეს, რომ თავისუფლების დღე მოდის, 26 მაისი, ჰიმნივით დღე...“ - ამბობს ლია სტურუა.

პროექტმა „მწერლები მშვიდობისთვის“ სხვადასხვა ასაკის, სტილისა და სიტყვის მოქმედები გააერთიანა. დონისძიების დასასრულს, თავის სიტყვაში, ერთ-ერთმა მონაწილემ, ბასა ჯანიკაშვილმა ჯარის ღირსებას გაუსვა ხაზი. „ის ადამიანები, ვისაც დღეს

ლია სტურუას მოეუხმინოთ, რომელიც ყურადღებას ჯარისკაცის მოვალეობაზე ამახვილებს. „ჯარისკაცობა ხელობაც არის და ხელოვნებაც, ის უკვე პოტენციურად თავგანწირუ-

მწერლები შეეხვდით, ყველაზე თავდადებულად და ღირსეულად აკეთებენ იმას, რასაც ქვეყნის სიყვარული ჰქვია. ჩემი აზრით, მთელი ქართული საზოგადოებისთვის ჯარი არის ის ადგილი, სადაც უსაფრთხოებაა, ღირსებაა, განწყობაა, რომ არსებობს მაღალი იდეალები და ეს იდეალები გადმოსულია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩემთვის საამაყოა, როდესაც ასეთ ახალგაზრდებს ვხედავ ჯარში“. - გვითხრა ბასა ჯანიკაშვილმა.

დიდმა პოეტმა, ბესიკ ხარანაულმა კი ჯარზე, როგორც ერთობის სიმბოლოზე ისაუბრა. „მე იმ კუთხეში გავიზარდე, სადაც ჯარი მხოლოდ სიკეთესთან და მშვიდობასთან ასოცირდებოდა. ჯარში გაზრდილი ხალხი ყოველთვის ყველასთვის სანდო იყო. ოდითგანვე, კავკასიიდან ყოველთვის იყო მტრის შემოსვლის გზა და ამიტომ იქ ყოველთვის იდგა მუდმივმოქმედი ჯარი. დაჯარდნენ - ასე იტყვიან ხოლმე. ჯარი ერთად ყოფნას ნიშნავს, ერთი აზრის გარშემო ყოფნას და ჩვენ ყველას სწორედ ეს ერთობა გვაერთიანებს. ეს არის მორალური სიმტკიცის გამოვლინება და სიმბოლო“- თქვა ბესიკ ხარანაულმა.





პროექტი „ჩვენი ჯარი“



როგორია ჯარისკაცის ყოველდღიური ცხოვრება, რა არის მისი მიზანი, რა რეჟორმები ტარდება თავდაცვის სამინისტროში, როგორია საქართველოს შეიარაღებული ძალების როლი სამშვიდობო მისიებში, რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა და რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ჩართულობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების პროცესში - ამ და სხვა საინტერესო თემებზე სამხედრო მოსამსახურეები სკოლის მოსწავლეებთან საუბრობენ, საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ და მათთვის საინტერესო კითხვებს პასუხობენ. სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები პროექტ „ჩვენი ჯარი“ ფარგლებში 10 აპრილს დაიწყო. მე-11 და მე-12 კლასელები ისმენენ ისტორიებს საქართველოს ეროვნული გმირების შესახებ, ნახულობენ სპეციალურად მათთვის მომზადებულ

ვიდეორგოლებს სადაც ჩანს თუ როგორ გადაიან წვრთნებს სამხედრო მოსამსახურეები და როგორი რთული დაბრკოლების გადალახვა უწევთ ყოველდღე.

პროექტ „ჩვენი ჯარი“ მიზანი ახალგაზრდა თაობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ ცნობიერების ამაღლება, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება და სამოქალაქო ურთიერთობების გაძლიერებაა.

„ვიწყებთ უპრეცედენტო პროექტს სკოლაში, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდი თაობის ინფორმირებას იმაზე, თუ რა ხდება შეიარაღებულ ძალებში, როგორ ვთანამშრომლობთ სტრატეგიულ პარტნიორებთან ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. მიზნად ვისახავთ

პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებას, რაც, რასაკვირველია, უშუალოდ ჯარისკაცის მოზარდთან ურთიერთობით, იმ ცნობიერებისა და ვადლებულების ჩამოყალიბებით მიიღწევა, რასაც ქვეყნის სამსახური, მისი სიყვარული და მისთვის თავდადება ჰქვია. ვფიქრობ, სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ელემენტია, როდესაც მოზარდ თაობას სამხედრო მოსამსახურე უშუალოდ ხვდება, ახალ გამოწვევებს აცნობს და ეუბნება, თუ რატომ არის ჩვენი ქვეყანა ნატოში ინტეგრაციაზე ორიენტირებული“, - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პროექტის გახსნაზე, თბილისის 175-ე საჯარო სკოლაში სტუმრობისას.

2018 წლის განმავლობაში პროექტი „ჩვენი ჯარი“ საპილოტე რეჟიმში ხორციელდება. მომავალი წლიდან კი,

სამხედრო თემატიკა საქართველოს სკოლებში უფრო ფართოდ და პრაქტიკულ დონეზე იქნება წარმოდგენილი. ლევან იზორიას ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტრო განათლებიდან და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდროდ თანამშრომლობს და ინტენსიურად მუშაობს, რათა მომავალი წლიდან სასკოლო პროგრამაში ახალი საგანი შეიტანონ: „თავდაპირველად ეს შეიძლება არჩევითი საგანი იყოს, თუმცა გვაქვს ამბიცია, რომ სავალდებულოდ გახდეს. მოზარდ თაობას საშუალება ექნება ახალი საგნის ფორმატში, ასევე, სამხედრო მოსამსახურეების ჩართულობით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე მეტი ინფორმაცია მიიღოს. გათვალისწინებულია სახელმძღვანელოს შედგენა, რომელიც შემოდგომაზე მზად იქნება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო იყოს, მოტივაცია შევმატოთ მათ. დავგეგმავთ სხვადასხვა სახის ერთობლივ ღონისძიებებს. სკოლებში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებას სჭირდება სწორედ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პოლიტიკის შემუშავება იმ ადამიანების ჩართულობით, რომლებიც მათთვის სამაგალითოები უნდა იყვნენ“, - აღნიშნავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

ლექციები, დედაქალაქისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში, წარმატებით ჩატარდა. როგორც პედაგოგები, მოსწავლეები და სამხედრო მოსამსახურეები აცხადებენ, ლექციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მოსწავლეებთან შეხვედრები ინტერაქტიურ რეჟიმში, სახალისო და სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები შეხვედრებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლაში გამართავენ.





მითი ყარსის ხელშეკრულების შესახებ

შესავალი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ მისეულ ინტერპრეტაციაში მოსახლეობის დარწმუნება ან/და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება მტრული ქვეყნის მიერ წარმოებული პროპაგანდისა და საინფორმაციო კამპანიის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. შესაბამისად, ის ქმნის ისტორიული წარსულის, თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ყალბ ან სახეშეცვლილ მოდელებს და მომავლის მიმე, ნეგატიურ პერსპექტივებს გვთავაზობს. ამ მეთოდით მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს გააზვიადოს ან საერთოდ შექმნას ნაციონალური საფრთხე, სამიზნე ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი საიმედო და ქმედითი პარტნიორის წინააღმდეგ მიმართოს და შედეგად, გაიოლოს საკუთარი თავის წარმოჩენა, როგორც „ნაკლები ბოროტება“, ან მეტიც - მოკავშირედ და ერთადერთ პარტნიორად მოგვევლინოს.

ეს მეთოდები განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და ჯერჯერობით ვერ სარგებლობს უსაფრთხოების მყარი გარანტიებით. ასეთ მოცემულობაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ერთი მხრივ, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მაღალ ხარისხს და მეორე მხრივ, მჭიდრო და სტრატეგიულ პარტნიორობას ძლიერ სახელმწიფოებთან.

მოცემულ სტატიაში ჩვენ ვისაუბრებთ, კონკრეტული ისტორიული ფაქტის - ყარსის ხელშეკრულება - მანიპულაციის შესახებ, რომელიც ანტიდასავლური და ანტიურქული განწყობების გავრცელებას ისახავს

მიზნად. ყარსის ხელშეკრულებაზე, ქართულ და უცხოურ მედია საშუალებებში გარკვეული პერიოდულობით ვრცელდება ყალბი ინფორმაცია, რომელიც შემდგომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განსხვავებული დღის წესრიგის შესაქმნელად გამოიყენება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავიგოთ, საკუთრივ ხელშეკრულების ირგვლივ არსებული ისტორიული ფაქტები, რათა არ გაგხდეთ სიცრუის მსხვერპლი.

ისტორიული ფაქტები

ყარსის ხელშეკრულება თურქეთისა და საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური მთავრობების წარმომადგენლებს შორის 1921 წლის 13 ოქტომბერს შედგა. ყარსის ხელშეკრულება შედგება 20 პუნქტისა და 3 დანართისგან, რომელიც ხელმოწერ მხარეებს შორის ხელშეკრულების სამართლებრივ ასპექტებს, ტერიტორიულ საზღვრებს, ადმინისტრაციული მოწყობის ფორმებს (ბათუმი და ნახიჩევანი, როგორც ავტონომიური ერთეულები), საზღვრისპირა მოქალაქეთა მიმოსვლის საკითხებსა და უფლებებს, ტყვეთა გაცვლას და სხვა საკითხებს არეგულირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების აღსრულება ხელმოწერისთანავე სავალდებულო გახდა (გარდა ისეთი პუნქტებისა, რომლებიც აღსრულებისთვის გონივრულ ვადებს საჭიროებდნენ) და მისი ვადა არ იქნა განსაზღვრული, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულება უვალოა.

ყარსის ხელშეკრულებაზე საუბრისას აუცილებელია ვახსენოთ მოსკოვის

ხელშეკრულება, რომელიც რამდენიმე თვით ადრე, 1921 წლის მარტში გაფორმდა ბოლშევიკურ რუსეთსა და თურქეთს შორის, რომელთა ინტერესები, პირველი მსოფლიო ომის შედეგებიდან გამომდინარე, ერთმანეთს დაემთხვა. მოსკოვის ხელშეკრულებაში სწორედ ის საკითხები იქნა განხილული და შეთანხმებული, რაც ყარსის ხელშეკრულებაში ჩაიწერა. ეს აღსანიშნავი და სიმბოლური ფაქტია, რადგან მარტში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოზე მიმდინარე წითელი არმიის შეტევა დაყოფიების მყარ საფუძველს იძლეოდა.

უნდა ითქვას, რომ ყარსის ხელშეკრულება ნახსენებია საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ 1992 წლის 30 ივლისს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში, სადაც მოხსენიებულია, როგორც საზღვრების დადგენის სახელმძღვანელო დოკუმენტი: მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით.

მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის.

მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ რეალურად თურქეთი საქართველოს ერთადერთი მეზობელია, რომელთანაც საზღვარი დელიმიტირებული და დემარკირებულია.

დასკვნა

ყარსის ხელშეკრულების შესახებ არსებული ინფორმაცია, თითქოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 წლისთავზე, ანუ 2021 წელს მისი ვადა იწურება, რის გამოც საქართველო რაიმე ახალი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობის ანდა საფრთხის ქვეშ იმყოფება, არ დასტურდება.

აღნიშნული საკითხი წარმოადგენს საბჭოთა პროპაგანდის სტრატეგიის, ე.წ. Whataboutism („იმაზე რას იტყვით, რომ...“) კლასიკურ გამოვლინებას. ეს სტრატეგია ოპონენტის არგუმენტის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

ცივი ომის დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი დიდი კრიტიკის ქვეშ ექცეოდა, მაგალითად, დისიდენტების მიმართ არსებული დამოკიდებულების გამო, პროპაგანდისტები ისეთ მიმე მორალურ საკითხებზე იწყებდნენ საუბარს, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერადკანიანი ამერიკელების მდგომარეობა იყო, რომლებსაც ბორკილებდადებულებს ამუშავებდნენ. ეს არის ერთგვარი ტაქტიკა, რომელიც ოპონენტს ყურადღებას უფანტავს და აშორებს თავდაპირველი კრიტიკის საგანს. ყარსის ხელშეკრულების შემთხვევაში, გამიზნულად თუ უნებლიედ სახეზეა მცდელობა რეალური პრობლემიდან (რუსული ოკუპაცია) საზოგადოებრივი ყურადღება გადატანა იქნეს ცრუ საფრთხეებზე.





ემსახურე საქართველოს!

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 7 მაისიდან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღება გამოაცხადა. საქართველოს მასშტაბით 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ შეუერთდნენ პროფესიულ არმიას და საქართველოს ჯარისკაცები გახდნენ. ემსახურე საქართველოს! ერთად - უსაფრთხო მომავლისთვის!



7 მაისს საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფიდან, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში სამხედროები სპეციალური საინფორმაციო ბროშურებით მოსახლეობასთან პირისპირ შესახვედრად გაემართნენ. სამხედრო მოსამსახურეებმა საქართველოს მოქალაქეებს სამხედრო სამსახურის პირობებს, ჩარიცხვის წესებსა და იმ პრივილეგიებს რითიც მომავალი კონტრაქტორები ისარგებლებენ, პირადად გააცნეს.

ვის შეუძლია საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა?

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 4 წლიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში 18-დან 35 წლამდე ასაკის მოქალაქეებს იწვევს. პროფესიულ არმიაში გაწვევიანება შეუძლიათ როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს. მთავარია, მათ დააკმაყოფილონ შესაბამისი მითხოვნები. სამხედრო სამსახურში გასაწვევიანებლად, პირველი ნაბიჯი რეგისტრაციის გავლაა.

რეგისტრაცია შესაძლებელია ვებგვერდზე - www.onlinebct.mod.gov.ge. ან დარეკეთ ნომერზე 595 050685; 595 050673.

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, ქალაქ თბილისში, მხარდაჭერი ცენტრი „კრწანისის“ ბაზისა და ქალაქ ქუთაისში, მესამე ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ რეგისტრაციისთვის ასევე მიმართონ თელავის მეოცე კადრირებულ ბრიგადას, სენაკის

მეორე ქვეით ბრიგადასა და ქალაქ ბათუმში ადგილის ბატალიონის ტერიტორიაზე არსებულ სარეგისტრაციო პუნქტებს.

რეგისტრაციისთვის პირველ ეტაპზე მოქალაქეს მხოლოდ ოთხი საბუთი დასჭირდება

1. პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);
2. ფოტოსურათი 3X4 - 2 ცალი;
3. სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი;
4. დაბადების მოწმობის ასლი.

რეგისტრაციის შემდეგ ჯერი ფიზიკური მომზადების ტესტზეა. შემდგომი პროცედურა პირის ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას მოიცავს. მომავალი რეკრუტი სრულიად ჯანმრთელი უნდა იყოს.

ყველა საჭირო პროცედურის გავლის შემდეგ საწყისი საბრძოლო მომზადების 10 კვირიანი კურსი იწყება. მომზადების პროგრამა დატვირთული, საინტერესო და ზომიერად რთულია. ჩარიცხვის დღიდან რეკრუტი უზრუნველყოფილია კვებით, სამხედრო ფორმით (საველე აღჭურვილობით), სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და განთავსებით. 10 კვირიანი კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში რეკრუტი ქვედანაყოფში თანამდებობაზე ინიშნება. საწყისი საბრძოლო მომზადების სპეციალურ კურსზე რეკრუტი ელემენტარულ სამხედრო უნარ-ჩვევებს ეუფლება და მომზადებას ისეთ სამხედრო დისციპლინებში გადის, როგორიცაა:

- ტაქტიკური მომზადება;
- სამხედრო-საინჟინრო მომზადება;
- მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვა;
- ზოგადი საკითხები;
- ფიზიკური მომზადება;
- სამხედრო-სამედიცინო მომზადება (თეორია და პრაქტიკა);
- საერთო საჯარისო წესდებები/სამხედრო კანონები;
- სამწიგნობრო მომზადება;
- კავშირგაბმულობა;
- საცეცხლე მომზადება (თეორია და პრაქტიკა);
- სამხედრო ტოპოგრაფია.

მომზადების მიზანია პროფესიონალი მსროლელის ჩამოყალიბება.

საწყისი საბრძოლო მომზადების პროგრამის მიმდინარეობისას ახლოდებთან და ოჯახთან კონტაქტი გარკვეულწილად შეზღუდულია. რეკრუტებს მომზადების დაწყებიდან მხოლოდ მეოთხე კვირიდან ეძლევათ მობილური ტელეფონით სარგებლობისა და ოჯახის წევრების ნახვის შესაძლებლობა.

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, ასევე უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი, სამხედრო ფიცის დადების ცერემონიალს ყოველთვის განსაკუთრებულ დღეს და განსაკუთრებულ ადგილას გეგმავს. ეს სწორედ ის დღეა, როდესაც რეკრუტები პროფესიულ არმიას უერთდებიან. ამ დღიდან ისინი სხვადასხვა პრივილეგიით სარგებლობენ.

• მაღალი ანაზღაურება:

სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში მყოფი პირის თანამდებობრივი სარგოს რაოდენობა იზრდება წოდების,



თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით.

• მონაწილეობა მაღალი დონის წვრთნებში და თანამედროვე აღჭურვილობა:

სამხედრო მოსამსახურეების პროფესიული მომზადების ამდღებზე პროფესიონალი უცხოელი და ქართველი ინსტრუქტორები ზრუნავენ.

• სოციალური დაცვის გარანტიები:

უფასო სამედიცინო მომსახურება და გაუმჯობესებული სადაზღვევო პაკეტი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის.

• კარიერული ზრდისა და კარგი სამხედრო განათლების შესაძლებლობა:

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეს განათლების მიღებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობა ეძლევა. მას შეუძლია მიიღოს სერჟანტის ან ოფიცრის სამხედრო განათლება, რომელიც შემდგომ მის დაწინაურებასა და კარიერულ წინსვლას უზრუნველყოფს. ამ მიზნით, სერჟანტებისა და ოფიცრებისთვის, სხვადასხვა პროგრამები ხორციელდება.

• მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში:

საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეს, შეიარაღებულ ძალებში სამსახურის გავლის პერიოდში, აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. მისიაში გამგზავრების წინ, სამხედრო ქვედანაყოფები წინამოსამზადებელ სწავლებას გადიან და ერთმანეთს, როტაციის წესით, 6 თვეში ერთხელ ენაცვლებიან.

ეს მეტია, ვიდრე სამსახური...

ალბათ, ყველას შეუძნელება სამხედროები, რომლებიც ჩვენ სიახლეებს საკონტრაქტო სამსახურის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღება გრძელდება და ყველას ეძლევა შესაძლებლობა იყოს საქართველოს ჯარისკაცი.

ვემსახურებით საქართველოს!



აქტიური სარეზერვო სამსახურის საპილოტო პროექტის განხორციელება იწყება



2018 წლის 1 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიური სარეზერვო სამსახურის გასაფლად, საპილოტო პროექტის ფარგლებში, მოქალაქეთა მიღებას იწყებს.

ამ ეტაპზე, მიღება განხორციელდება ტერიტორიულ რეზერვში, სადაც მიიღებიან როგორც იურიდიული, ასევე ფაქტობრივი მისამართით კახეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში მცხოვრები რიგითიდან-კაპიტნის ჩათვლით სამხედრო წოდების მქონე, 18-დან 50 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სავალდებულო და/ან სამხედრო საკონტრაქტო სამსახური ან არიან სტუდენტები 18-დან 22 წლის ჩათვლით.

ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს 5 წლიანი კონტრაქტი გაუფორმდებათ და მათი შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20% (191 ლარიდან (რიგითი) 244 ლარამდე (კაპიტანი)), ხოლო სამხედრო სამსახურის გაფლის პერიოდში - შრომის ანაზღაურების სრული ოდენობა იქნება.

მიღების პროცედურები სამხედრო სამედიცინო შემოწმებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტირებასა და გასაუბრებას ითვალისწინებს. საპილოტო პროექტის მიხედვით მთლიანი კონტინგენტის 30% სტუდენტები იქნებიან, ხოლო სავალდებულო და/ან საკონტრაქტო სამსახურგაფლვილი პირებიდან პრიორიტეტი ენიჭება: ომი-სა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის ან სამხედრო და საბრძოლო გამოცდილების ან შესაბამისი სამხედრო საადრიცხო სპეციალობის მქონე პირებს.

საბრძოლო მომზადება გათვლილია 45 დღეზე წლის განმავლობაში, რომელიც მეტნაკლებად თანაბრად ნაწილდება 12 თვეზე

7 დღიანი საწყისი შიკრიბები (სულ 7 დღე)
2 დღიანი შიკრიბები (სულ 14 დღე)
3 დღიანი შიკრიბები (სულ 9 დღე)
განაბაში (სულ 1 დღე)
საბოლოო შიკრიბა (სულ 14 დღე)
ჯამში 45 დღე

სამხედრო სარეზერვო სამსახურის გაფლის პერიოდში რეზერვისტები სამედიცინო მომსახურებით, ასევე სოციალური და სამართლებრივი დაცვით ისარგებლებენ. სტუდენტებს სარეზერვო სამსახურის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გავლა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ჩათვლებათ.

აქტიურ რეზერვში არ მიიღება პირი თუ:

- ა) იგი ნასამართლევა განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის;
- ბ) იგი სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლდა;
- ბ.ა) დისციპლინური გადაცდომისათვის;
- ბ.ბ) სამხედრო მოსამსახურის ღირსების შემლახველი საქციელისათვის;
- გ) მან არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა

ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) იგი სასამართლომ მხარდამჭერის მიმდებარე ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) იგი არის „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტებით განსაზღვრული პირი.

განცხადების ჩაბარებისას მოქალაქემ თან უნდა იქონიოს:

1. პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);
2. ფოტოსურათი 3X4 - 1ცალი;
3. სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი;
4. სპორტული ფორმა (ფეხსაცმელი);

მოქალაქეს საბუთების მიღებისას ჩაუტარდება ფიზიკური ტესტი, შესაბამისად, სპორტული ფორმისა და ფეხსაცმლის ქონა აუცილებელია.

დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხა კანდიდატს მიეწოდება შერჩევის კომისიაზე გამოცხადების დროს.

საბუთების მიღება 2018 წლის 1 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს, 10:00 საათიდან - 16:00 საათამდე, ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებულ ბრიგადაში (მის: ქ. ბათუმი, ადლიის ქუჩა 76) და მე-20 კადრირებულ ბრიგადაში (ქ.თელავი თამარ მეფის ქუჩა 36) იწარმოებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ:
(+995 032) 2 543535,
(+995 032) 2 723535.





სერჟანტი ნათია ლაფანი: სამოგლოს რომ დაჰჭირდე, ხომ არ უნდა გავიქცე?! ჩემი უპილავით წინ უნდა გავიდე და დავიცვა!



„სამშობლოს რომ დაჰჭირდე, ხომ არ უნდა გავიქცე?! ჩემი უპილავით წინ უნდა გავიდე და დავიცვა!“, - ეს სიტყვები საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეს, სერჟანტ ნათია ლაფანს ეკუთვნის. ჩვენი რესპონდენტი ქალი სამხედრო, უპირველესად, სამი ვაჟის დედაა. სერჟანტი შეიღებთან - ჯონისთან, ანრისა და თორნიკე ლაფანებთან ერთად, პირველ ქვეით ბრიგადაში მსახურობს.

ძმები კარიერულად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებიან. კაპრანოვები - 26 წლის ჯონი - კავშირგაბმულობის, 25 წლის ანრი - სატანკო, ხოლო 23 წლის თორნიკე - ტანკსაწინააღმდეგო სპეციალობებს ითვისებენ. სამივე შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს გადის. „ომში ჩემს შვილს რომ შევატყვო ერთი ნაბიჯით უკან დახვევა, ალბათ, ვერ ვაპატიებ“, - ამბობს ნათია ლაფანი.

სერჟანტი ლაფანი ასე, ალბათ, საკუთარი ისტორიის გამო საუბრობს. ის

შეიარაღებულ ძალებში 2008 წლის თებერვლიდან მსახურობს. რამდენიმე თვეში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო. აგვისტოს ომში მოწინავე მობილური ქირურგიული ჯგუფის მედდამ, კოლეგებთან ერთად, არაერთი ჯარისკაცის სიცოცხლე გადაარჩინა. ომის ქარცეცხლში ძნელია დაიმასხოვრო ჯარისკაცის სახე, მაგრამ სამხედროები სიკეთეს არ ივიწყებენ. ასე მოხდა მაშინაც, როცა სამსახურიდან სახლისკენ მიმავალ გზაზე, ტრანსპორტში ამოსულმა მგზავრმა საკუთარი გადამრჩენელი ამოიცნო, სამხედრო მედდის წინაშე მუხლებზე დადგა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის მადლობა გადაუხადა. „ვერ ვიცანი, თვითონ დავეუბნებოვარ“, - ღიმილით იხსენებს სერჟანტი.

ჩვენთან საუბრისას, ქალი სამხედრო აგვისტოს ომის ცხელი დღეების აღდგენას ცდილობს. „სანგარში დაჭრილი ჯარისკაცი ვნახეთ. დიდი რაოდენობით სისხლი ჰქონდა დაკარგული. მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობაც რთული იყო. წამოყვანისას შემეწინააღმდეგა; პირველადი სამედიცინო

დახმარების გაწვევის შემდეგ, სრულიად სველი სამხედრო ფორმა გავხადე და ჩემი სპორტული ზედა ჩავაცვი. ამასობაში, ევაკუაცია გამოცხადდა. ჯერ დაჭრილები გავიყვანეთ სამშვიდობოს. ჯარისკაცმა, რომლის სახელი დღესაც არ ვიცი, ტელეფონის ნომერი გამომართვა - ამ სიკეთეს არ დაგივიწყებო - მითხრა. ომის ვითარებაში სასწრაფოდ საოპერაციო თავად გავხდი. საავადმყოფოში ვიწვექი რომ ქალმა დამირეკა - მარტოხელა დედას ცასა და დედამიწას შორის ეს ერთი შვილი მყავს, შენ გადამრჩინეო, მლოცავდა“, - მაღლიერია ჩვენი რესპონდენტიც.

სამხედრო მედდა დღეს უკვე ღიმილით ყვება სოფელ ბროწლეთში დაჭრილი სამოქალაქო პირის გადარჩენის ამბავს; პაციენტის შეშინებულ დედას შვილის სტაბილური მდგომარეობა რომ ვერ დააჯერა, ეს ჩია ტანის ქალი ხელში აიყვანა და საოპერაციოს კარების მინიდან ოპერაციის ყურების საშუალება მისცა. სერჟანტის სახეზე ღიმილს სვედა ცვლის, როდესაც დაღუპული ჯარისკაცების კადრებს იხსენებს.

საუბრისას, სამხედრო მედდამ აგვისტოს ომში ქართველი სამხედრო ექიმების პროფესიონალიზმი საზგას-მით აღნიშნა. „ომის დროს სამედიცინო ბატალიონმა ძალიან მაგრად იმუშავა. საველე პოსპიტალში ურთულესი ოპერაციები გაკეთდა“, - ამბობს სერჟანტი.

ნათია ლაფანი წარმოშობით ერედვიდანაა. „სოფელ ერედვში დავიბადე და გავიზარდე. დღეს ჩემი სოფელი ოკუპირებულია. ომის დროს ერედვში სასწრაფო დახმარების მანქანით შევედი და ინსულტის დედა წამოე-

იყვანე. ნახევარ საათში ჩვენი სახლი დაწვეს“, - გვიყვება სერჟანტი.

ქალი სამხედრო მოსამსახურე 2016-2017 წლებში ავღანეთში სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა. მაშინ ავღანეთში ნათიას ქვედანაყოფმა, შვილის სამხედრო ნაწილი ჩაანაცვლა. საბრძოლო მედიკოსის ამბულატორიულ ჟურნალში, მისიის მრავალეროვნულ ჯარისკაცებთან ერთად, ავღანელებიც იყვნენ დაფიქსირებულნი.

2010 წლიდან სერჟანტი ლაფანი პირველი ქვეითი ბრიგადის ლაზარეთში მორიგე მედდად მუშაობს.

ნათია ხშირად ფიქრობს, თუ როგორი იქნებოდა მისი ცხოვრება ცხინვალის სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იქვე საავადმყოფოში პროფესიული პრაქტიკა რომ გაეგრძელებინა. აღმოჩნდა, რომ ქალი სამხედრო მოსამსახურე ბავშვობიდან სამხედრო ფორმის ჩაცმაზე ოცნებობდა. „სუსტი აღნაგობის არ ვარ, საკუთარი თავი სულიერადაც მტკიცედ მიმანია. როგორც რიგითი მოქალაქე ქუჩაში ხშირად დავხმარებივარ ადამიანებს“, - ამბობს ის.

სერჟანტი ლაფანი ქალაქ გორში იმ ბინაში ცხოვრობს, რომელიც მის ოჯახს დროებით სარგებლობაში 2017 წელს გადაეცა. საცხოვრებელი მას გადაეცა როგორც ქალ სამხედრო მოსამსახურეს, სამი შვილის, მით უმეტეს, სამი სამხედრო მოსამსახურის დედას. ბუნებრივია, მას, საკუთარი პროფესიული დამსახურებების გამო, უამრავი მადლობის სიგელიც მიუღია, მაგრამ მნიშვნელოვანი ადგილი ერთ ჯილდოს უკავია. კადრი განსაკუთრებით დასამახსოვრებელია - შვილებს გადასცეს დედის ჯილდო - „სამშობლოსთვის თავდადებული“, როდესაც ის ავღანეთში სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა.

ქალი სამხედრო მოსამსახურე ფიქრობს, რომ ჯარისკაცის საპასუხისმგებლო და რთული საქმის შესრულებისას, ქალები მამაკაცებს ტოლს არ უდებენ. კითხვაზე - როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება შეიარაღებული ძალების გარეშე? - სერჟანტ ლაფანს არ სურს ამის წარმოდგენა. მან ზუსტად იცის, რომ სამშობლოს თუ დასჭირდება შვილებთან ერთად ქვეყნის საღარაჯოზე იდგება!

თავდაცვის უწყება მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ქალთა მონაწილეობის გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 და შემდგომი რეზოლუციების განხორციელების მიმართულებით მუშაობს. რეზოლუციები ჯარში ქალებისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას გულისხმობს.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ქალები დღეს სრული შემადგენლობის 7 პროცენტს შეადგენენ და ტენდენცია მზარდია.





გიორგი კვინიტაძე – ჩემი მოგონებები

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გიორგი კვინიტაძის „ჩემი მოგონებების“ ორტომეული გამოსცა. გენერალი გიორგი კვინიტაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობდა. მემუარულ ჩანაწერებში ავტორი, სწორედ, ამ პერიოდში არსებულ მდგომარეობაზე, ქართული ჯარის ჩამოყალიბების ისტორიასა და საქართველოს რუსული ოკუპაციის პერიოდზე საუბრობს.

გენერალ გიორგი კვინიტაძის მემუარულმა ნაწარმოებმა საზოგადოების, განსაკუთრებით, სამხედრო მოსამსახურეების დიდი ინტერესი გამოიწვია. ალბათ, ამ მიზეზით არის, რომ ჩივნი მესამედ გამოიცა. გიორგი კვინიტაძის „ჩემი მოგონებები“ პირველად, 1998 წელს, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით, ხოლო მეორედ, თავდაცვის სამინისტროს TBC ბანკთან თანამშრომლობით დაიბეჭდა. საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტრომ გენერალ გიორგი კვინიტაძის მემუარულ წიგნს ეტაპობრივად გაზეთ „ქართული ჯარის“ ფურცლებზე შემოკთავაზებთ.

მოგონებებს ვუძღვნი ჩემს დაუვიწყარ მეუღლეს მარიამს, ჭეშმარიტ ქართველ მანდილოსანს, ოჯახის დედას

წინასიტყვაობა

ჩემი მოგონებები მოგიტორობთ საქართველოში მომხდარ მოვლენებზე 1917 წლის რევოლუციის დღიდან იმ დღემდე, როცა ნოე ჟორდანიას მთავრობამ 1921 წლის 16 მარტს დამპყრობელთან ზავს მოაწერა ხელი სამტრედიისში.

ამ დროის განმავლობაში არაერთხელ დამნიშნეს ქართული ჯარის მეთაურად.

ვინაიდან ეს მოვლენები ტენდენციურად და არასწორადაა აღწერილი როგორც უცხოურ, ისე ქართულ პრესაში, თავი მოვალედ მივიჩნევ, პარიზში ჩასულს, 1922 წელს, დამეწერა ეს მოგონებები.

ვინც ყურადღებით წაიკითხავს მოგონებებს, თვალწინ წარმოუდგება ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობა. ალბათ მათ კეთილი ზრახვები ამოძრავებდათ, მაგრამ მხოლოდ მეოცნებენი იყვნენ და ჭაბუკური გატაცებით ბაძავდნენ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციას, ისიც მხოლოდ გარეგნულად.

ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ, რის შედეგადაც იოლად ჩაიგდეს ხელთ ნამდვილი ძალაუფლება მუშებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოში – ჯერ ამიერკავკასიაში, მერე ამიერკავკასიის რესპუბლიკასა და, ბოლოს, საქართველოში.

1918 წლის გაზაფხულზე, გერმანელების მიერ რუსი ბოლშევიკებისთვის თავსმოხვეული ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებისას ჩვენი ხელისუფალნიც მიიწვიეს ბრესტ-ლიტოვსკისში, მაგრამ მათ გამგზავრებაზე უარი განაცხადეს იმ საბაბით, ამიერკავკასია რუსეთის განუყოფელი ნაწილიაო. არადა, თითქოს სწორედ ამ საბაბით უნდა მიეღოთ მიწვევა, თუ საქართველოს ინტერესებზე საუბარი სურდათ.

საბაბი მცდარი იყო, ვინაიდან უკრაინა და პოლონეთი უკვე გამოყოფილი იყო რუსეთისგან; აქ ძალას იკრებდა სამოქალაქო ომი, რომელიც მხოლოდ 1920 წელს დასრულდა ბოლშევიკების გამარჯვებით.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით ამიერკავკასიამ დაკარგა ყარსი, არდაგანი და ბათუმი; ისინი თურქეთს გადაეცა.



ამიერკავკასიის რესპუბლიკას სურდა ამ ოლქების შენარჩუნება და მოლაპარაკება წამოიწყო თურქებთან – ჯერ ტრაპიზონში, შემდეგ ბათუმში.

1918 წლის 24 მაისს თურქებმა ჩვენს მთავრობას ულტიმატუმი წაუყენეს და დამუქრნენ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებს თუ არ აღიარებთ, საბრძოლო მოქმედებას დაიწყო.

ამ ულტიმატუმის შედეგად ჩვენი მთავრობა იძულებული გახდა მოლაპარაკების გასაგრძელებლად ახალი ფაქტორის შესაქმნელად 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოეცხადებინა (იხ. ავალ-იშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, გვ. 57).

თურქებთან შემდგომი მოლაპარაკებისას ჩვენი მთავრობა იძულებული გახდა დაედო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით თურქებს ახალციხე და ახალქალაქი დაეუთმეთ. 1918 წლის 4 ივნისს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა, გ. გვაზავამ, გ. რცხილაძემ, გენერალმა ი. ოდიშელიძემ (თურქეთთან სამეგობრო და სამშვიდობო ხელშეკრულება).

1917 წლიდან, რევოლუციის დღიდან, ჩვენი მთავრობა სომხეთის წარმომადგენელს პირდებოდა იმ ოლქების გადაცემას, სადაც მოსახლეობის

უმეტესობა სომხები იყვნენ, ე. ი. ბორჩალოსა და ახალქალაქს.

ამ პირობის შესრულებაზე ჩვენმა მთავრობამ უარი რომ თქვა, სომხები თავს დაგვესხნენ და ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ, ომი დაეწყოთ. თავდასხმის მოგერიებაც მოვახერხეთ და სომხურ ჯარს შევუტეთ კიდევ, როცა ჩაერივნენ უცხოელები (ორი კაპიტანი) და მოითხოვეს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა.

სომხებმა 1918 წლის 8 დეკემბერს შემოვიტოვეს. ამჯერად უცხოელები არ ჩარეულან და არ შეუჩერებიათ სომხები, როცა ისინი თავს დაგვესხნენ. მაგრამ თვის ბოლოს, როცა არა მარტო მოვიგერიეთ სომხები, არამედ შეტევაზეც გადავედით, ჩაერივნენ და შეაჩერეს საომარი მოქმედებები. რასაკვირველია, საჭირო იყო საომარი მოქმედებების გაგრძელება.

საინტერესოა ამ ომის შედეგი. მთავრობამ, ჩვენი წარმატების მიუხედავად, ჩვენი ბორჩალოს ოლქი სადავო ზოლად აღიარა.

ეს ოლქი ოდითგან საქართველოს ეკუთვნოდა; ამ ოლქის მიწები ეკუთვნის ქართველ მეამბოხეებს – ორბელიანებს, ბარათაშვილებს, მელიქიშვილებს, საგინაშვილებს, მაღალაშვილებს და სხვებს.

სომხები ამ ოლქში უმრავლესობას შეადგენდნენ, რადგან ისინი თურ-

ქეთიდან იყვნენ ლტოლვილები. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ლტოლვილი სომხები რუსთა ხელისუფლებამ ჩაასახლა არა მარტო ამ ოლქში, არამედ ქართლსა და კახეთშიც. 1853-1855 წლების ყირიმის ომის შემდეგ 90.000 სომეხი ლტოლვილი ჩამოგვისახლეს.

რაკილა სომხეთი ყალიბდებოდა, თავისუფლად შეიძლებოდა მათთვის შეგვეთავაზებინა, რომ სომხები ამ ოლქიდან საკუთარ ქვეყანაში გადაესახლებინათ; ქართველთა კუთვნილი მიწა არ უნდა გაგვეცა და სადავო არ უნდა გაგვეხადა.

საერთოდ ჩვენი მთავრობა ძალიან თავქარიანად ექცეოდა ძველთაძველ ქართულ მიწას. ზაქათალა ახერბაიჯანს გადასცეს; არდაგანი – ძველი ქართული მიწა, რომელიც 1919 წელს, ახალციხე-ახალქალაქის აჯანყების შემდეგ დაგუბრუნეთ საქართველოს, სომხებს. არდაგანი გახლდათ მაჰმადიანი ქართველებითა და რუსებით დასახლებული ოლქი და სომხებს არავითარი უფლება არ გააჩნდათ ამ მიწაზე. იქ სულ რამდენიმე სომხური ფარდული ედგათ.

მკითხველი თვალნათლივ დაინახავს, რომ ჩვენი მთავრობა სახელმწიფო ინტერესებს არად დაგიდევდათ და ისე არიგებდა ჩვენს ოლქებს, როგორც არიგებს თავის ქონებას კაცი, რომელმაც მოულოდნელად დიდი მემკვიდრეობა მიიღო და ყველას

უნაწილებს, ვინც მარჯვედ სთხოვს საჩუქარს.

1920 წელს მოვასერხეთ ბოლშევიკების პირველი თავდასხმის მოგერიება; შეტევაზე გადავდით და უკვე აღსტაფამდე ვიყავით მისულები, როცა მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ომი შეწყვიტა და ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას შეუდგა.

ეს გახლდათ ერთადერთი, გამორჩეულად ხელსაყრელი შემთხვევა, რომ გაგვეთავისუფლებინა აზერბაიჯანი და სომხეთი მათი დამპყობლებისგან – ბოლშევიკებისგან; შეგვეძლო, მთელი ამიერკავკასია და იქნებ დადესტანიც გაგვეწმინდა; 1920 წელი იდგა. პოლონეთი რუსეთს ეომებოდა და გრანგელი ყირიმიდან გამოვიდა.

გამოგნებელი და გაუგებარია ჩვენი მთავრობის საქციელი. როგორ შეიძლება სახელმწიფოს მართავდე და ასეთი შეცდომები მოგდიოდეს? თუმცა, ვინ იცის, ვითომ შეცდომები იყო? საშინაო პოლიტიკაში მმართველთა მთავარი საზრუნავი გახლდათ: ხალხში სოციალიზმის დანერგვა, არარსებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ზომების მიღება და ეგრეთ წოდებული რევოლუციის მონაპოვრის დაცვა.

მკითხველი აქაც დაინახავს სასაცილო ღონისძიებებს, როგორც იყო, მაგალითად, „მუშათა სასახლე“ თბილისის მთავარ ქუჩაზე; ამ ღონისძიებაზე არც ერთი მუშა არ მოსულა. ან პურის ფასი მუშებისთვის – გირვანქა ხუთ მანეთად, როცა ობივტელი ას ორმოცდაათ მანეთს იხდიდა.

რასაკვირველია, არ შეიძლება მხარი არ დაუჭიროო სოციალიზმის ზოგიერთ დებულებას, როგორცაა, მაგალითად, მუშათა და გლეხთა ყოვალ-ცხოვრების გაუმჯობესება. მაგრამ ეს გონივრული ღონისძიებები უფროა, ვიდრე სპეციალურად სოციალისტური ხასიათის ცვლილებები. არ შეიძლება სოციალიზმი დასწამო პენრის IV-ს, ან ყველა შემამულეს, ვინც თავისი გლეხების ყოფის გაუმჯობესებაზე ზრუნავს.

არარსებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად მოღვაწეობამ შეაქმნევინა მმართველებს ანომალიური შეიარაღებული ორგანიზაცია: გვარდია – ჯერ წითელი, მერე სახალხო.

საქართველოში აზრადაც არავის მოსვლია რევოლუციის და მის მონაპოვართა წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ეროვნული ქართული ერთეულის შექმნა ყოველი ქართველის სანუკვარი ნატვრის აღსრულება იყო. გრძობა, რომლის გამოც თავადაზნაურობამ (ბანკმა) თავისი ქონება ეროვნულ საკრებულოს გადასცა, მმართველებმა ვერ გაიგეს, რადგან მეტისმეტად იყვნენ გამსჭვალულნი მატერიალისტური მოძღვრებით. თვითონ ნ. ჟორდანიაც ამბობს მოგონებების წიგნში „ჩემი წარსული“, რომ აქ არასოდეს მდგარა ეროვნული საკითხი.

კონტრრევოლუციისა და რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვის შიშმა იქამდე მიიყვანა მთავრობა, რომ გვარდიის შემადგენლობა, მიღებული კანონის საწინააღმდეგოდ, 24 ბატ-



ალიონამდე გაზარდეს, რაც საზიანო იყო სამხედრო ორგანიზაციისთვის. აქ ერთ-ორი სიტყვა უნდა დავამატო ზოგიერთი რესპუბლიკური ჩვეულების მიბაძვაზეც. მაშინ, როცა მეზობელ ამიერკავკასიურ სახელმწიფოებში სამხედრო ორგანიზაციას მეთაურობდნენ: აზერბაიჯანში – გენერლები მეხმანდუროვი და შიხლინსკი, სომხეთში – გენერალი ნაზარბეგოვი, ჩვენი მთავრობა სამხედრო მინისტრად ნიშნავდა ხან სახალხო მასწავლებელს, ხან საერო მოღვაწეს, ხან ექიმს, ოღონდ მეთაური სოციალ-დემოკრატი ყოფილიყო. ერთ-ერთი მათგანის თანაშემწე გახლდით; ერთხელ, ბატალიონის გასტუმრებისას, მეთაურს ვუთხარი, ორი ქვემეხი წაიდუ-მეთქი და სამხედრო მინისტრმა მკითხა: “ბატონო გიორგი, ორი ქვემეხი რამდენი ზარბაზანია?” – ეგეც თქვენი ჯარის “აღმშენებელი და მეთაური”.

გვარდიის, როგორც სამხედრო ორგანიზაციის შექმნა, იყო უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი კატასტროფისა. ბრძოლის ველზე გვარდია ან უარს ამბობდა ომზე, ან იქაურობას ტოვებდა, მაშინაც კი, თუ ბრძოლას ვიგებდით. ასე მოხდა 1918 წელს – სომხურ-ქართული ომის დროს, 1919 წლის ახალციხის ლაშქრობაში, 1920 წელს, პირველ ომში, ბოლშევიკების წინააღმდეგ – ხაშურის ბრძოლაში, როცა ჩვენი წარმატებული შეტევის მიუხედავად, გვარდია თვითნებურად აიყარა ბრძოლის ველიდან და სურამის ქედის გადაღმა, წიფას მიაშურა.

გვარდია პრივილეგირებული ორგანიზაციიდან სწრაფად გადაიქცა პრეტორიანულ ორგანიზაციად, რომელიც ქვეყანას ზიანს აყენებდა. აი, რა მოსდევს საკუთარი გატაცებების ბრმად აღსრულებას, ახლაც კი, 1961 წელს, 40-წლიანი ემიგრაციის შემდეგ, სოციალ-დემოკრატია კვლავ ტრახახობს, დამფუძნებელ კრებაზე 90% შევადგინეთ და ხალხი ჩვენ გვიჭერდა მხარსო. ვითომ ასეა?

1914 წელს რუსეთის მთავრობამ 155.000 ქართველი გაიწვია ჯარში. სად იყო ეს 155.000 ქართველი 1921 წელს, როცა რუსებს ვეომებოდით? დამფუძნებელ კრებაში სოციალისტთა 90%-ის მიუხედავად, ხალხი უკვე აღარ მიჰყვებოდა ჩვენს ხელისუფალთ, რადგან მიხვდა, რომ მათ მმართველობას ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა.

მთელ ქვეყანაში ეწყობოდა გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ – სამეგრელოში, დუშეთში, ოსეთში, ხევში, ახალციხეში, აჭარაში. ამ გამოსვლებს სამხედრო ძალით აშოშინებდნენ და მთავრობა მათ ბოლშევიკურ გამოსვლებს არქმევდა. არადა, საეჭვოა, რომ მოსახლეობას სცოდნოდა საერთოდ ბოლშევიზმის ან მენშევიზმის რაობა ან მათ შორის განსხვავება.

ხალხმა გაიგო ამ მთავრობის ამბავი და გაეცადა, ვინაიდან 1920 წლის 7 მაისს ჩვენს ყოფილ და მომავალ დამპყრობთან, საქართველოში რუსი-ფიკაციის დამნერგავთან სამეგობრო ხელშეკრულების დადებას შეუძლე-

ბელია მოსახლეობისთვის თვალი არ ახილდა. მიწის რეფორმა არ აკმაყოფილებდა გლეხებს, ეკონომიკურად და ფინანსურად კი უფსკრულისკენ მივექანებოდით.

მთავრობას არც ერთ ფენაში აღარ შემორჩა არც ავტორიტეტი და არც, რასაკვირველია, პოპულარობა. ჩვენს ხელისუფალთ არ სურდათ არმიის შექმნა, რაც საკმაოდ იოლი იყო – საქართველოში გვყავდა ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი ოფიცრობა, რომელსაც რუსთა ჯარში ჰქონდა გავლილი სამხედრო სამსახური. მმართველები – „მშვიდობის ადვოკატი“ – სამი წლის განმავლობაში ეწეოდნენ ომს შინ და გარეთ. ვებრძოდით ოსებს, ახალციხის მოსახლეობას, აჭარლებს, აგრეთვე სომხებს, დენიკინელებს, თურქებს, ორჯერ – რუსებს. ყოველთვის მოულოდნელად გვესხმოდნენ თავს და მხოლოდ ბრწყინვალე, სამშობლოსთვის უანგაროდ თავდადებული ოფიცრობა და მოსახლეობის პატრიოტიზმი გვშველოდა. მკითხველი დაინახავს, თუ როგორ “დაუფასეს” დედალი მმართველებმა ჩვენს ოფიცრობას. რაც შეეხება მოსახლეობას, 1921 წლის 16 მარტს ბოლშევიკებთან ხელშეკრულების დადებით ნ. ჟორდანიამ ხალხს უღალატა და ბოლშევიკებისა და მათი საშინელი ოპერაციების ხელში ჩააგდო. ასეთია საქართველოში მენშევიკთა მთავრობის მმართველობის პირქუში ფურცელი.

გარკვეულმა სიძნელეებმა შესაძლებლობა არ მომცა, დროულად გამომეცა ჩემი მოგონებები. ტროცკი თავის მემუარებში გულახდილად ამბობს, რევოლუციის მოსახდენად უნდა იცრუო. საქართველოში მომხდარი მოვლენების აღწერისას მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი და ეს იქნება ჩემი უკანასკნელი სამსახური ჩემი ხალხისადმი, რომელმაც თავად იწვინა მენშევიკი რევოლუციონერები.

შატუ, 1961

შესავალი

1801 წლიდან საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა. იგი საერთაშორისო ურთიერთობათა საწინააღმდეგოდ შეუერთეს რუსეთს. ალექსანდრ I, რომელიც პოლონეთთან ლიბერალურ პოლიტიკას მიმართავდა, საქართველოს პირიქით მოიქცა – დაარღვია 1783 წლის ხელშეკრულება, რუსეთს მიუერთა ქვეყანა და დამპყრობით შეუდგა მოქმედებას. ქართველი ხალხი ვარაუდობდა, რომ რუსეთის მფარველობით ამოისუნთქებდა მაჰმადიანურ სამყაროსთან გაუთავებელი ომებისგან; იმედი ჰქონდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით გადაირჩენდა რწმენას, ენას და სახელმწიფოებრიობას, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა. მას მერე, რაც ქვეყანა რუსეთის ხელში აღმოჩნდა, სულ უფრო და უფრო მძლავრად იგრძნობოდა დამპყრობლის ხელი. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული საეკლესიო კანონების წინააღმდეგ, მოისპო 1811 წელს. დამოუკიდებელი ქართული ეკლესია რუსული ეკლესიის ერთ-ერთ საეპისკოპოსოდ გადააქციეს; სათავეში, უდავოდ და უცილობლად, რუსი უნდა ყოფილიყო და გარკვეული რუსიფიკატორული პოლიტიკა გაეტარებინა. საქართ-



ველოს რუსიფიკაცია მიმდინარეობდა ცხოვრების ყველა სფეროში: სასამართლო, ადმინისტრაცია, სასწავლო დაწესებულებები – ყველაფერი, ყველაფერი გარუსებული იყო. იქამდეც კი მივიდნენ, რომ აიკრძალა ბავშვების მონათვლა ხალხის სათაყვანებელი სახელებით, როგორცაა, ვთქვათ, ვახტანგი, თამარი, რუსუდანი, ირაკლი და ა. შ. ხალხი იძულებული იყო, ბავშვები მონათლა სახელებით – ოლღა, ალექსანდრე და სხვ. ბევრი ნაცნობი მყავს, ვინც ამ სახელებითაა მონათლული, მაგრამ საზოგადოებაში ძველი ქართული სახელებით იცნობენ. სიტყვას აღარ გავაგრძელებ ყველა იმ ღონისძიებაზე, რაც მიზნად ისახავდა თანდათანობით მოესპო ყველაფერი – ქართული ნიშნით აღბეჭდილი. საბოლოოდ, ამ ღონისძიებებით მიღწევს, რომ კულტურა, განათლება, ხელოვნება, მრეწველობა და მისთანანი რუსების ხელში აღმოჩნდა და ქართველმა ხალხმა განვითარებით ჩამორჩენა დაიწყო. ბუნებრივია, ქართველებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მათი წინააღმდეგობა გამოიწვია. ქართლ-კახეთის სხვადასხვა ადგილებში არაერთხელ აღმართეს აჯანყების დროშა; იმერეთი, რომელმაც არ სცნო 1801 წლის მანიფესტი, დაიმორჩილეს და სოლომონ მეფემ თურქეთში, დევნილობაში გალია დღენი; ასევე დაასრულა სიცოცხლე ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელმაც არ სცნო რუსეთის მმართველობა და არასოდეს შეუწყვეტია ომი რუს ხელისუფალთა წინააღმდეგ. ხალხში არ მომკვდარა ოცნება საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული პოეტები, ბელეტრისტები, მწერლები, მხატვრები. ქართულ საზოგადოებაში თანდათანობით სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს პატრიოტული მიმართულება. ეს მიმდინარეობდა, პირველყოფლისა, გამოვლინდა ქართველთა თავდაზნაურობას შორის, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა სამშობლოსადმი განსაკუთრებული სიყვარულით, ოდიოზანვე რწმენის, ენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების სადარაჯოზე იდგა და უღვევი სისხლი დაღვარა აზიური სამყაროს ურიცხვი მტრებიდან სამშობლოს გადასარჩენად. ათასწლეულების განმავლობაში საქართველოს ახრჩობდა ეს ომები, მაგრამ თავისი სახელმწიფოებრიობა მაინც მტკიცედ შეინარჩუნა და XIX საუკუნემდეც მოიტანა, როცა ახალი საფრთხე – რუსიფიკაცია დაატყდა თავს. თითქოს ხსნა აღარ ჩანდა. მაგრამ სამშობლოს, თავისუფლების სიყვარულმა გადაარჩინა ქვეყანა საბოლოო დაღუპვისგან. ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და ჩვენი პოეტების, მწერლების, მხატვრების, მხატვრების მთელი პლეადა მუდამ იქნებიან ის მანათობლები, შუქს რომ ჰფენენ ეროვნულ გამოვლინებას. ჩვენი სამხედრო გმირების – ჭავჭავაძის, ჩოლოყაშვილის, ამირაჯიბის, ამილახვრის, ანდრონიკაშვილის, ორბელიანისა და სხვათა სახელები ქართველი ხალხის სამხედრო სიმამაცისა და შინაგანი ძალის ნათელი დასტური იქნება ყოველთვის. ხალხი იღვიძებდა – რუსი მთავრობის ყველანაირი ღონისძიებების მიუხედავად. თუმცა ამ მიმართულებათა გვერდით

განდა კიდევ ერთი მოძრაობა. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს განხილვით ქართული სახელმწიფოებრიობის დამღუპველი მიმართულება. გამოიჩეკა ახალი ინტელიგენცია – უმთავრესად რუსულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში განათლებამიღებული ჩვენი ახალგაზრდობა. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი რუსული სკოლის გაყენებას განიცდიდა; რაკილა რუს ახალგაზრდებთან ერთად იზრდებოდა და სწავლობდა, ბუნებრივად აღიქვა ის აზრები და მოძღვრებანი, რაც მსჭვალავდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და დასასრულის რუს ინტელიგენციას. ამ ახალგაზრდებს შორის ბევრი დასწავლდა სოციალიზმის ერთობ მიმზიდველი და მაცდური მოძღვრებით, ოღონდ რუსული სოციალიზმით, სადაც ინტერნაციონალიზმი და ნიჰილიზმი სჭარბობდა. დანარჩენები ჩვენი პატრიოტი მწერლების გაყენებას განიცდიდნენ და არ შორდებოდნენ ხალხის გამოვლინებაზე, დამოუკიდებლობაზე ფიქრი. უბრალო ხალხსაც დაატყო კვალი ისტორიულმა წარსულმა და მათ სულსა და გონებასაც აფორიაქებდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფიქრი. იმის მიუხედავად, რომ რუსთა ხელისუფლების ბატონობა უკვე საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა, არც საზოგადოებასა და არც ხალხში არ იგრძნობოდა რუსული კულტურისკენ სწრაფვა; პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტად უცხოობდნენ ამ კულტურასაც და, ბუნებრივია, მის შემოქმედს – რუს ხალხსაც. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ რუსი მთავრობის არასწორ პოლიტიკასა და ქართველი ხალხის შინაგან ძლიერებაში, ხალხისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიეჩნია, წინააღმდეგობა გაჰწია ყველაფერი უცხოურისთვის. ინტელიგენციის სოციალისტური ნაწილი მეტწილად უბრალო ხალხის შეილება იყვნენ; ისინი მარქსიზმის იდეებით, კლასობრივი ბრძოლის იდეებით ხელმძღვანელობდნენ და, სამწუხაროდ, უკეთესად იყვნენ ორგანიზებული, რადგან რუსული ოპოზიციური წრეების შემადგენლობაში შედიოდნენ. მონაწილეობდნენ რევოლუციურ ბრძოლაში, აქტიურად მოღვაწეობდნენ 1905 წელს; ამისთვის ათეულობით და ასობით გადაასახლეს ციმბირში. ადვილი გასაგებია, რომ საკუთარი ორგანიზებულობისა და სოციალიზმის მაცდური იდეების წყალობით ეს ადამიანები ხალხში ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში. როცა საქართველოში ტელეგრაფმა გადმოსცა ცნობა რევოლუციის შესახებ, ხელისუფლება იოლად გადავიდა მათ ხელში, ლიდერები კი კვლავ პეტროგრადში დარჩნენ და რევოლუციას ხელმძღვანელობდნენ. პირზე ეკერათ ერთიანი რუსული ფრონტის პრინციპი და თავიანთ საქმეს კლასობრივი (და არა მხოლოდ კლასობრივი) ბრძოლით აგრძელებდნენ. თუმცა ესეც უნდა აღინიშნოს: მათი მოძღვრების ინტერნაციონალიზმის, მათი სახელმძღვანელო პრინციპის მიუხედავად, ამ ჯგუფის უმეტესობა მაინც ვერ შეეღია, გულში მაინც ვერ ჩაიკლა ქართველ ხალხში საუკუნეობით ფესვგადგმული პატრიოტიზმი, ეროვნული ბრძოლის იდეა. ეს იდეა მაინც ბუტყავდა მათ სულში. ამის მიუხედავად, როცა ერთიანი რუსული სოციალისტური ფრონტი ბოლშევიკებმა დაშალეს, ამათ ხელი მოკიდეს

საკუთარ ქვეყანაში სოციალიზმის დანერგვას. ფანატიკოსმა ხელმძღვანელებმა (ლიდერებმა) ვერ შეძლეს თავიანთ პრინციპებზე უარის თქმა და ამიერკავკასიის სახელმწიფოს გაერთიანება დააპირეს. მოვლენები ისე განვითარდა, რომ აქაც ხელი მოეცა და ამის მერე მიჰყვება ხელი ქართული სახელმწიფოს ორგანიზაციას – კვლავ სოციალიზმის დასანერგად.

რა ვითარება დახვდათ ქვეყანაში? ხალხი ამასობაში თანდათანობით ძალას იკრებდა და უკვე კარგა ხანია, შესაფერის დროს ელოდებოდა თავისი შელახული უფლებების ხმაძიებას დასაცავად. დროც დადგა. იმ მსხვერპლის მიუხედავად, რომელიც პრივილეგიურულ კლასს უნდა გაეღო, ყველანაირი შევიწროების, დევნის, თქვენ წარმოიდგინეთ, მკვლელობების მიუხედავად, რომელიც ბუნებრივი შედეგია რევოლუციისა და ახალი წესწილობისა, ყველამ – თავდაზნაურობამ, მოსამსახურებმა, რომელთა მთავარ ნაწილს სამხედროები შეადგენდნენ, ვაჭრებმა, მეწარმეებმა, მუშებმა, ხალხმა – ახალი ლიდერების გარშემო მოიყარა თავი. მუშები თავიანთ სოციალისტურ ბელადებს უჭერდნენ მხარს; გლეხობა, რომელშიც არ ჩახშობილა პატრიოტიზმი და დამოუკიდებლობის იდეები აფორიაქებდა, მხურვალედ გამოეხმაურა მათ მოწოდებებს; თავდაზნაურობამ არ უღალატა ხალხის სამსახურის უძველეს ტრადიციას; მათ შეუერთდნენ მეწარმეები, ვაჭართა კლასი, მთელი ინტელიგენცია. თავდაზნაურობის უანგარობა, ოდიოზან ცნობილი სიყვარული სამშობლოსადმი ძველი საბერძნეთისა და რომის კლასიკურ მაგალითებს უნდა შევადაროთ. ყველას გული ანთებოდა პატრიოტიზმით, სამშობლოსათვის საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის სურვილით და ყველა ცდილობდა დახმარებოდა ჩვენს ახალ ბელადებს. ქართველ ხალხში, საერთო მასაში, არ არსებობდა კლასობრივი მტრობა. ყველას სამშობლოს სიყვარული აერთიანებდა. ეს იყო საერთო-სახალხო იდეა; ახალ მიმართულებათა ინტერნაციონალიზმის მიუხედავად, ამ მძლავრმა მამოძრავებელმა ძალამ ყველა ფენა მოიცვა და მოახერხა, რომ საქართველო წარმოედგინა მართლწესრიგისა და სიმშვიდის პატარა კუნძულად უნაპირო რუსული ზღვის სისხლიან ტალღებში. ეროვნული იდეები ჩვენს ბელადებს, სოციალიზმის წარმომადგენლებსაც გადაედოთ, მაგრამ ამას დრო დასჭირდა; თან მათ გრძნობას მოჭარბებულად ახლდა სოციალისტური მიმართულება და მხოლოდ სოციალისტური საქართველოსკენ ისწრაფოდა. მართლწესრიგის ორგანიზაცია კი, უნდა ითქვას, რომ მთელი ქვეყნის თანადგომით არც ისე ძნელი საქმე იყო. რევოლუციური ქაოსიდან გამოსულმა ამ ხალხმა, მაშინ, როცა 1917 წლის “უსისხლო რევოლუცია” სისხლისა და ცეცხლის ზღვად იქცა, მოახერხა და შექმნა რაღაც, სახელმწიფოს მგავსი, სადაც თითქოს პასუხისმგებელი მთავრობაც იყო და ახალი, საყოველთაო, თანაბარი და ფარული საწყისით არჩეული დამფუძნებელი საკრებულოც. ასევე დაინერგა: სასამართლო, ადმინისტრაცია, თვითმმართველობა – ესენიც დემოკრატიულ საწყისებზე. მთავრობამ თითქოს საყოველთაო პატივისცემაც მოიპოვა და ქვეყანაში

გარკვეული მართლწესრიგიც დამყარდა. მაგრამ ეს უნდა მივაწეროთ უფრო ღირსებას ხალხისა, რომელიც ოდიოზანვე განწიფილი იყო მართლწესრიგისა და სახელმწიფოებრიობის დასაცავად. ვიმეორებ, ხალხი თავდაპირველად გულანთებული მიჰყვებოდა მთავრობას. ჩვენი ბელადები სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები; სოციალ-რევოლუციურ-დემოკრატებს ხალხში დასაყრდენი არ გააჩნდათ. ამ სოციალისტური პარტიების გვერდით არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ესაა ჩვენი ხალხის ძირითადი პარტიები. არაფერს ვიტყვი მათ განსტობებზე, ანუ მათ დაჯგუფებებზე. როცა კი საქმე ეხებოდა სამშობლოს, ეროვნულობის, მართლწესრიგის დაცვას, ეს პარტიები არაერთხელ გაერთიანებულან და შეთანხმებული მოქმედებით გადაურჩენიათ ქვეყანა ანარქიისაგან. რუსეთის ასწლიანი ბატონობის შემდეგ ხალხი ერთგული დარჩა უძველესი, ძვალბრძოლაში გამჯდარი მოძღვრებებისა; სამშობლოსა და დამოუკიდებლობის კვლავ გამოვლინებულ სიყვარულს ვერ მოერევა ბოლშევიზმი, ისევე, როგორც ვერ მოერია, ვერ გატეხა ჩვენი მამა-პაპა ვერც შაჰ-აბასმა და ვერც ალა-შაჰ-მად-ხანმა. საქართველო, როგორც ეროვნული ერთეული, იარსებებს სრულიად დამოუკიდებლად, საკუთარი სულისკვეთებით განავითარებს მდიდარ ბუნებრივ ძალას. საქართველო აღდგა, იგი ახალ გზას დაადგა და ვეღარაფერი შეაჩერებს მის ბუნებრივ განვითარებას.

ხემოთ ხსენებულ პარტიებთან დაკავშირებით ერთი რამ უნდა აღინიშნოს. მენშევიკთა პარტია იყო გაბატონებული. მათ მიღწევს, რომ ჩვენი დამფუძნებელი საკრებულოს შემადგენლობის 90% მენშევიკები იყვნენ. ამ წარმმართველ, ინტერნაციონალიზმურ იდეებზე აღზრდილ და აღმზრდელ პარტიას თანდათანობით გარშემო შემოკრებილი ხალხისგან თითქოს თვითონაც გადაედო ეროვნული იდეები. მეზობელ ხალხებთან ომი მხოლოდ ხელს უწყობდა ქვეყანაში პატრიოტიზმის განმტკიცებას. დამახასიათებელია ერთი ნიშანდობლივი გარემოება, რასაც დუმილით გვერდს ვერ ავუვლი. რევოლუციის დასაწყისში, კავკასიაში, რუსეთის უმაღლესი წარმომადგენლის სასახლეზე, რომელიც დამფუძნებელ საკრებულოდ გადაიქცა, წითელი დროშა ფრიალებდა – რევოლუციისა და ინტერნაციონალიზმის ნიშანი. შემდეგ მას დაემატა ორი პატარა ეროვნული დროშა, რომელთა თავზე ლივლივებდა დიდი წითელი დროშა. და ბოლოს, ყველა შეცვალა დიდმა ეროვნულმა დროშამ; დროშების ეს თანდათანობით ცვლა თითქოს ნიშანდობლივი მანქანებელი იყო ჩვენს მმართველ წრეებში ეროვნულობის იდეების შემოჭრისა. იმის თქმა როდი მინდა, რომ მმართველი წრეები გადასხვაფერდნენ. სულაც არა. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ გარემოებათა ძალით, თვით ცხოვრებამ დააყენა ისინი სწორ გზაზე, თუმცა კვლავ ინტერნაციონალიზმი იდეები შერჩათ და გულსტეკივით მიდიოდნენ დათმობებზე – უბრალოდ, უარს ვეღარ ამბობდნენ. ამ ადამიანების ნამდვილ სახეს მათი მოღვაწეობა დაგვანახებს.



კიდევ ერთ ელემენტზე უნდა გავამახვილო ყურადღება. ესაა სამხედრო ელემენტი. თითოეული სახელმწიფოს ცხოვრებაში შეიარაღებულ ძალებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვთ. კრიტიკულ, გადამწყვეტ მომენტებში ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება და ქვეყნის ბედი არმიის ხელთაა. ასე იყო დღემდე და, ვფიქრობ, ასე იქნება მუდამ. შეიარაღებული ძალები, არმია, ხალხის სულის სარკეა. ხალხი თავის შეიარაღებულ ძალებში ასახავს ყველა თავის ღირსებას, ყველა თავის ნაკლოვანებას, მთელ თავის კულტურას, მთელ თავის განვითარებას. ეს იმდენად გარდაუვალი კანონია, რომ არმია თერმომეტრივითაა – არმიის მიხედვით შეიძლება სწორი დასკვნა გამოვიტანოთ ხალხის კულტურაზე, მის სიმძლავრესა და განვითარებაზე ცხოვრების ყველა სფეროში. საბერძნეთის, რომის, ყველა უახლესი სახელმწიფოს ისტორია, ისევე, როგორც ჩვენი სამშობლოსი, ამის ნამდვილი და უდავო დასტურია. ღონიერი, ძველგამოსილი არმია შეესაბამება ხალხის მაღალ განვითარებას, არმიის დაცემა შესაბამისად იყო მაჩვენებელი და წინასწარმეტყველი ქვეყნის მომავალი დაცემისა.

რა საფუძველი იყო საქართველოში შეიარაღებულ ძალთა შესაქმნელად? ამ მხრივ საქართველო ერთობ კეთილსასურველ პირობებში გახლდათ; მას ჰყავდა დიდი რეზერვი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისა, რომლებმაც სკოლა გაიარეს რუსული არმიის რიგებში – მშვიდობიან დროს თუ ომიანობისას, ამ რიგებში ქართველ ოფიცრობას მუდამ თვალსაჩინო მდგომარეობა ჰქონდა. რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ არც ერთ ერს არ მიუცია ჯარისთვის ასეთი, შედარებით დიდი პროცენტული რაოდენობით თავისი წარმომადგენლებით. ქართველები უცილობლად მეომარი ხალხია (გამუდმებული ომი მაჰმადიანებთან), ოღონდ ერთი თავისებურებით: მას არ გააჩნია შემტევ-დამპყრობლური ჟინი, რაც ჩვეულებრივ თან სდევს აგრესიულ ხალხებს; ქართველები არასოდეს არ იბრძოდნენ დასაპყრობად, ამა თუ იმ რაიონს ეუფლებოდნენ მხოლოდ საკუთარი, სასიცოცხლო

საზღვრების უზრუნველსაყოფად და დამარცხებულთა მიმართ ღმობიერებით გამოირჩეოდნენ. რუსული არმიის რიგებში ბრძოლისას ქართველი ოფიცრები თავს ისახელებდნენ ხოლმე. კაცმა რომ თქვას, კავკასიური ომების ისტორია საქართველოს შვილთა ისტორიაა. არ მეგულება არც ერთი კეთილშობილი ქართული გვარი, რომლის წარმომადგენლებიც ბრძოლის ველზე არ ყოფილან. ძველი სახელგანთქმული გვარიშვილების გვერდით იყო ბევრი მოკრძალებული გვარისაც. ერთი რამ კი აღსანიშნავია: ქართველ ოფიცრებს უმადლეს თანამდებობებზე მხოლოდ ომისას წარადგენდნენ. მშვიდობიან დროს კი ისინი ჩვეულებრივ შტაბ- და ობერ-ოფიცრის წოდებით გალევდნენ სამსახურს. რასაკვირველია, ეს იყო რუსი მთავრობის შესაბამის ღონისძიებათა შედეგი. მხოლოდ ომი აიძულებდათ, გამოეჩინათ და დავეწინაურებინეთ.

გენერლების თაობაზე შემოგთავაზებთ ჩემს მიერ 1919 წელს შედგენილ მცირე სტატისტიკას. თურმე 25 გენერლიდან რუსეთის არმიის რიგებში სამსახურისთვის გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა 23 გენერალი. საგულისხმო ფაქტია. საეჭვოა, ყოველი 25 რუსი გენერლიდან 23 გიორგის კავალერი ყოფილიყოს. შტაბ- და ობერ-ოფიცრებზე აღარაფერს ვამბობ. სპეციალობების მიხედვით მომზადებაზე უნდა ითქვას, რომ ოფიცრთა შორის ბევრი იყო გენერალური შტაბიდან, აკადემიიდან – საარტილერიო, სამხედრო-იურიდიული და სამხედრო-საინჟინრო აკადემიის კურსდამთავრებულნი; ბევრს დასრულებული ჰქონდა ინტენდატა აკადემია, საჰაერო მიმოსვლისა და სამხედრო-ტექნიკური სკოლები, სადაც სწავლობდნენ რადიოს, ავტომობილებს, ჯავშნოსნებს და სხვ. ხშირად სამწიფობრო ოფიცრებიც გამოირჩეოდნენ, როგორც ინსტრუქტორები; ზოგს სრულიად რუსეთშიც გაეთქვა სახელი, როგორც სამწიფობრო ოფიცრისა და როგორც მსროლელს. იყვნენ კავალერიისტი ოფიცრები, რომლებიც საზღვარგარეთაც კი იღებდნენ ჯილდოებს; მაგალითად, ერისთავი, ჭავჭავაძე; ქართველებს არაერთი ჯილდო აუღიათ საფარეიკო დარბა-

ზებში; ტანმოვარჯიშეებიდან ცნობილია ბერელაშვილი, პრდაში რომ მიიღო ჯილდო; რატიანი კი ახლაც კონსტანტინეპოლშია და ამერიკულ სპორტულ საზოგადოებას ხელმძღვანელობს. ქართული გვარებით იყო ატრელებული ყველა საზოგადოება – მსროლელთა თუ სპორტული, ყველა იპოდრომი; ანგარიშის კითხვისას მუდამ თვალში გხვდებოდათ გვარები: ჭავჭავაძე, ანდრონიკაშვილი, ავალიშვილი, ნაცვლიშვილი, ჩხეიძე, ერისთავი. ესენი იყვნენ შვილები ერისა, რომელიც შეადგენდა რუსეთის სახელმწიფოს მოსახლეობის დიდი-დიდი 2%-ს. სწორი და ზუსტი სტატისტიკის შედეგები კიდევ უფრო განსაცვიფრებელი იქნებოდა. რაც შეეხება ჯარისკაცებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის წყალობით გაწვრთნილ ჯარისკაცთა სოლიდური მარაგი გვყავდა. დიდ ევროპულ ომში გაწვეული იყო 155.000 ქართველი. საფიქრებელია, რომ მათი 2/3 უკანასკნელი ომის გამოცდილებით დაბრძენებული დაბრუნდა შინ. ერთი სიტყვით, ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები მშვენიერი კადრი და მასალა იყო დამოუკიდებელი ქართული არმიის შესაქმნელად.

არმიის ორგანიზაციისას ჩვენს პატარა ჯარში საშტატო ადგილების უქონლობის გამო იძულებული გავხდით, ათასი ოფიცერი სამსახურიდან დაგვეთხოვა. რასაკვირველია, შეიძლებოდა დაგვეტოვებინა რჩეული ხალხი, რაც საშუალებას მოგვცემდა, გველოდა საუკეთესო არმია. დანარჩენებისგანაც უნდა შეგვედგინათ თადარიგი, რაც საფუძვლით იკმარებოდა არმიის გასაფართოებლად საომარი მოქმედებებისათვის. ასე რომ, სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალებისთვის კრიტიკულ მომენტში ჩვენს ბელადებს მოჭარბებულადაც კი ჰყავდათ სახელმწიფოს მშვიდობიანი კეთილდღეობის მცველნი და დარაჯნი.

მთელი ქართველი ხალხი გაერთიანდა ამ ბელადების გარშემო. ყველაფერი მათ ხელთ იყო – სამშობლოს სიყვარული, თავგანწირვა, მშვენიერი საბრძოლო კადრი და მასალა. ისმის კითხვა: რატომ ვერ გავუძელით ბოლშევიკურ ტალღას მაშინ, როცა

სხვა პატარა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არსებობას განაგრძობდნენ? არაფერს ვამბობ პოლონეთზე, თუმცა ამ ქვეყანას ლამის მთელი რუსეთი დაეცა თავს; მაგრამ არსებობს ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბოლოს და ბოლოს, სომხეთიც კი არ არის მთლიანად დაპყრობილი და მისი დროშა ჯერ კიდევ ფრიალებს ზანგეზურზე. 1922 წელს ვგულისხმობ, როცა იწერებოდა ეს მოგონებები. არც ერთ წარმონაქმნს არ გააჩნდა ჩვენნაირი ხელსაყრელი მონაცემები. ეგეც არ იყოს, რუსეთისგან ჩვენ კავკასიონის ქედი გვეყოფდა. ასეთი ქომაგი არც პოლონეთს ჰყოლია, არც ლატვიასა და ფინეთს. მაშ, რა მოხდა?

ბოლშევიკებთან ჩვენი დამარცხების ერთ-ერთ მთავარ, ან იქნებ უმთავრეს, მიზეზად მიმაჩნია შეიარაღებული ძალების მოუწყობლობა, უფრო სწორად, არასწორი მოწყობა. შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციას ჩვენი ბელადები თვითონ კიდებდნენ ხელს და ამ საქმეს არ ანდობდნენ სპეციალისტებს. ბოლშევიკებმა კი, როგორც ვიცით, ეს საკითხი სხვანაირად გადაწყვიტეს: მათ ჯარის ორგანიზაციისათვის სამხედროები მიიწვიეს, ოღონდ პოლიტიკური ზედამხედველობა დაუწვეს. ჩვენები ჯარის მოსაწყობად ახალ გზებს, ახალ საფუძველს ეძებდნენ და შექმნეს გვარდიული ორგანიზაცია – ჯარის ანომალია, რომელსაც არავითარი უნარი არ გააჩნდა საომარი მოქმედებისა. დაივიწყეს, არა, განა დაივიწყეს, არ უნდოდათ დანახვა, რომ მოხალისედ, დისციპლინის, იძულების გარეშე იშვიათად გასწირავს ვინმე საკუთარ სიცოცხლეს, თუნდაც სამშობლოს საკეთილდღეოდ. ასეთია ცხოვრება. ბოლშევიკები ამას მიხვდნენ და დისციპლინის განსამტკიცებლად ისეთ მკაცრ სასჯელებს მიმართეს, სისატიკით რომ სჭარბობდა ყველაფერს, რაც კი გამოუყენებიათ ბოლოდროინდელ ცივილიზებულ არმიებში და გავგახსენეს ვალენტიენის დრო, როცა ბანაკში შემოვლისას დამკვიდრებული ფრაზა იყო: “ჩამოახრჩვეთ წყევლი!”

მკითხველს იმდროინდელი ამბები თვალნათლივ რომ წარმოვუდგინო, მოგიტხრობთ ყველაფერს, რისი მოწმეც გავხდი პეტროგრადის რევოლუციის დღიდან. შევეცდები, პირუთვნელობა შევინარჩუნო და თუ ხანდახან მწარე სიტყვა წამომცდა ან მიკერძოებული აზრი გაგიზიარეთ, მკითხველმა არ იფიქროს, ვინმეს განსჯა მსურდეს. არა, სიმწარემ შეიძლება და უნდა გამოიყონოს კიდევ, რადგან არაფერია უფრო მტანჯველი, როცა შეგიძლია სასიკეთო საქმე და არ განებებენ. შეუძლებელია, გულგრილად ადევნებდე თვალს სამშობლოს ტანჯვას, როცა ღრმად დარწმუნებული ხარ – ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა; ძნელია თავი შეიკავო და საყვედური არ თქვა ვიღაცის უცოდინრობისა და უმურველობის გამო, როცა შეიძლებოდა ხალხის გადარჩენა იმ საშინელებიდან, რასაც ახლა განიცდის. მაპატიოს მკითხველმა და მუდამ ახსოვდეს, რომ სხვა არაფერი მამოძრავებს, თუ არა სამშობლოს სიყვარული და სიმწარე გაცრუებული იმედებისა, ყოველ ქართველს თან რომ სდევს.



საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსტრუქციული მეთოდები

აშშ-საქართველოს ყველაზე ამბიციური პროექტი - საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) დაიწყო. „საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის ფარგლებში ახალი ეპოქა იწყება, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივებში ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, თითოეული მოქალაქის დაცულობის ხარისხს უფრო გაზრდის და გააძლიერებს“, - ამ სიტყვებით შეაფასა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ GDRP-ის დაწყება და საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) გახსნა ვაზიანის აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე.

აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა, ნატოს მოკავშირე ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალმა კურტის სკაპაროტიმ კი, აღნიშნა, რომ პროექტი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აშშ და საქართველო იზიარებენ საერთო ვალდებულებას, უზრუნველყონ ქართველი ხალხის უსაფრთხოება და რეგიონის სტაბილურობა.

ახალი საბრძოლო მომზადების ცენტრის სამწყობრო მოედანზე წარმოდგენილი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი, რომელიც GDRP პროგრამით მომზადებას პირველი გაივლის, ასევე, წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) საბრძოლო მომზადების ცენტრისა და აშშ-ის 173-ე საპარაშუტო ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეების კოლოფები.

პროექტის მნიშვნელობაზე სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა, ნატოს მოკავშირე ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალმა კურტის სკაპაროტიმ მიმართეს. შემდეგ კი, საბრძოლო მომზადების ცენტრი სიმბოლურად ლენტის გაჭრით გახსნეს.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) ამერიკელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მხარდაჭერით ხორციელდება, რაც საბოლოო ჯამში აამაღლებს საბრძოლო მზადყოფნის დონეს და დადებითად აისახება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესა-



ძლებლობების განვითარებაზე. მისი მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ქვედანაყოფების მზადყოფნის დონის ამაღლება ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე, უზრუნველყოფს მათი დაკომპლექტების, წვრთნისა და აღჭურვის შესაძლებლობების განვითარებას. GDRP-ის სრულფასოვანი იმპლემენტაციისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები ჯერ კიდევ 2017 წელს განხორციელდა - პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მოხდა კონკრეტული ქვედანაყოფების განსაზღვრა და დაიწყო მათი მოსამზადებელი ტრენინგები. პროგრამის ფარგლებში დაკომპლექტდება, აღჭურვება და გაიწვრთნება შეიარაღებული ძალების ცხრა სამანვერო ბატალიონი. თითოეული ბატალიონის მომზადება უშუალოდ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 3 თვის განმავლობაში. ამერიკელი პარტნიორების დახმარებითვე მოხდება საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) აღჭურვა თანამედროვე სიმულაციური და საწვრთნელი ტექნოლოგიებით. GDRP-ის აქტიური ფაზა 2018 წლის გაზაფხულზე იწყება და 2021 წლამდე გაგრძელდება.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა მისი განხორციელების პირველ ეტაპზე ჩატარდება აშშ-ის ევროპული სარდლობის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, ხოლო შემდგომ წლებში მოხდება უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის გადაბარება ქართველ ინსტრუქტორებზე. 2020 წლიდან აღნიშნულ პროგრამას მთლიანად უხელმძღვანელებენ საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) ქართველი ინსტრუქტორები.



მედიაციის მუხეუმში გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის სამხედრო სკოლის პრეზენტაცია გაიმართა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუხეუმში გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის წიგნის - „სამხედრო სკოლა“ პრეზენტაცია და სამხედრო თემატიკის გამოფენა გაიმართა.

„სამხედრო სკოლა“ გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის მემორუალი ჩანაწერებია, რომელსაც ის ემიგრაციის პერიოდში იუნკერების მიერ გამოცემულ ჟურნალ „მხედარში“ აქვეყნებდა. ჟურნალში დაბეჭდილი მასალები წიგნის სახით გამოსაცემად მოამზადა ისტორიკოსმა ლელა სარალიძემ, ხოლო რედაქტირება თადარიგის პოლკოვნიკმა არჩილ ჩაჩიბაიამ გაუწია. ალექსანდრე ჩხეიძის „სამხედრო სკოლა“ თავდაცვის სამინისტრომ პირველად გამოსცა.

მოწვეულ სტუმრებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა შალვა ჯაბახიძემ

სიტყვით მიმართა. მან საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესზე და ამ პროცესის მონაწილე გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწეების როლზე გაამახვილა ყურადღება. თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ თავდაცვის უწყებასთან თანამშრომლობა დადებითად შეაფასა. ალექსანდრე ჩხეიძის „სამხედრო სკოლა“ მოწვეულ სტუმრებს მუხეუმის ხელმძღვანელმა რუსუდან კობახიძემ და წიგნის რედაქტორმა არჩილ ჩაჩიბაიამ წარუდგინეს.

ალექსანდრე ჩხეიძე 1919 წელს სამხედრო სკოლის უფროსის - გენერალ გიორგი კვინიტაძის თანაშემწედ დაინიშნა. 1920 წელს კი, გენერალ კვინიტაძის საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად დანიშვნის შემდეგ, იუნკერთა სკოლას სათავეში პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე ჩაუდგა. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს თებერვალ-მარტის ომის დროს, ქართული სამხედრო სკოლის დანაყოფებმა ალექსანდრე ჩხეიძის მეთაურობით წითელი არმიის შეტევა მოიგერიეს. 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, ალექსანდრე ჩხეიძე ემიგრაციაში გაემგზავრა, სადაც ის ქართველ იუნკერებსა და ოფიცრებთან აქტიურად თანამშრომლობდა.

მუხეუმის ფოიეში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ქართველ სამხედრო მოღვაწეთა ემიგრაციაში ყოფნის დროს გამოცემული რარიტეტული წიგნებისა და პერიოდიკის, მათი ხელნაწერების, ასევე ეროვნულ არქივში დაცული, ამავე პერიოდის, სამხედრო თემატიკის ფოტო და დოკუმენტური საარქივო მასალების ასლების გამოფენაც გაიმართა.

ქართული ემიგრაციის მუხეუმში დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერები, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის სამხედრო ლიცეუმის კადეტები, სამხედრო მოსამსახურეები, ასევე, თსუ-ის სტუდენტები იმყოფებოდნენ.

ღონისძიება, მუხეუმების საერთაშორისო დღეს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს, თავდაცვის სამინისტროს თსუ-თან თანამშრომლობით ჩატარდა.



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის მოადგილეს შეხვედა. ლევან იზორიამ და ჯონ რუდმა შეხვედრაზე აღჭურვილობისა და შეიარაღების შესყიდვის საკითხები განიხილეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის მოადგილეს შეხვედა. ლევან იზორიამ და ჯონ რუდმა შეხვედრაზე აღჭურვილობისა და შეიარაღების შესყიდვის საკითხები განიხილეს.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, „ჯავახიანების“ შესყიდვის შემდეგ, თანამშრომლობის და შესყიდვების დინამიკა მომავალშიც გაგრძელდება, რაც წელს პირველად თავდაცვის უწყებაში გამოქვეყნებული გრძელვადიანი შესყიდვების სტრატეგიის შესაბამისად მოხდება. ლევან იზორიამ აღნიშნა, რომ აქცენტი, ძირითადად, მცირე ზომის ტაქტიკური ქვედანაყოფების შეიარაღებაზე გაკეთდება. თავდაცვის დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება კიდევ ერთხელ გამახვილდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს თავდაცვის უწყებაში განხორციელებული მტკიცე და პრინციპული რეფორმების მხარდაჭერაზე.



ერთად, „ვოლტერ რიდის“ ეროვნულ სამედიცინო ცენტრში იმყოფებოდნენ, სადაც ქართველი ლეიტენანტი ივერი ბუაძე მკურნალობს.



„ვამაყობ, რომ გვეყავს ასეთი მამაცი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მოკავშირეებთან ერთად იცავენ გლობალურ მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ჩვენ მათთან ვალში ვართ და არასოდეს დაგვივიწყებთ მათ მიერ გაღებულ მსხვერპლს, რომელიც, მჯერა, უშედეგოდ არ ჩაივლის.“

უზარმაზარი ენერჯია და სტიმული მომცა ივერის სიტყვებმა, რომელიც მან დღეს კლინიკაში მითხრა: „ეს ჩემი ვალია, მე ჩემი ქვეყნისთვის სიცოცხლესაც დაუფიქრებლად გავიღებ, თუ საჭირო გახდება. მიხარია, რომ შემიძლია, რაღაც გაგაკეთო ჩვენი ქვეყნისთვის. ერთ-ერთი, რაც საქართველოს მსოფლიოში წარმოაჩენს, ჩვენი შეიარაღებული ძალებია და ამას ჩვენი ევროპელი და ამერიკელი კოლეგები ყოველთვის აღნიშნავენ. მჯერა, ჩვენი სურვილი - ნატოში და ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანება, მალე რეალობად იქცევა... სრულად ვეთანხმები - ქართული ჯარი ჩვენი ქვეყნის ყველაზე საამაყო ინსტიტუტია. მადლობა სამსახურისთვის! ჩვენ ისევ შევხვდებით, თბილისში...“ - აღნიშნა სამხედრო მოსამსახურესთან შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა

აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილის შემდეგ ლევან იზორიამ შეხვედრა ამერიკის ეროვნული გვარდიის ბიუროს უფროსის მოადგილესთან გენერალ-ლეიტენანტ დანიელ ჰოკენსონთან გამართა. მოგვიანებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე გაემგზავრა, სადაც გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილის საფლავი, მის ვაჟთან - ბრეტ შალიკაშვილთან ერთად, გვირგვინით შეამკო.

ივერი ბუაძე გასული წლის სექტემბერში, ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ დაიჭრა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის სხვა წევრებთან

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის რიგით მეორე კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტმა უმასპინძლა. მოგვიანებით კი, ლევან იზორია ამავე ინსტიტუტში საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მიღებას დაესწრო.

ნატო საქართველოსთვის ფინანსურ კონფიკიუსიას გაიღებს



საქართველოს თავდაცვით აღმშენებლობაში დახმარების მიზნით ნატო საქართველოსთვის ფინანსურ კონტრიბუციას გაიღებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული შეთანხმება დღეს, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის თანაშემწემ ჯონათან პერიშმა გააფორმეს. დახმარება ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრისთვის (JTEC) მილიონ ევროზე მეტი ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემას გულისხმობს.

თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ლევან იზორიამ ალიანსის წარმომადგენლებს საქართველოს თავდაცვის უწყებაში განხორციელებული რეფორმები, განსაკუთრებით ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესი გააცნო და აღნიშნა, რომ პაკეტით განსაზღვრული ინიციატივები პროგრესულად ვითარდება. თავდაცვის მინისტრმა სტუმარს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მისწრაფება, რაც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტსა და დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს.

თავის მხრივ, ჯონათან პერიშმა, ნატოს სახელით, საქართველოს ალიანსთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო უსაფრთხოებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის ქართულ მხარეს მადლობა გადაუხადა და არსებითი პაკეტის ფარგლებში განხორციელებული წარმატებული პროექტები ხაზგასმით აღნიშნა.